# მეხეთის უნივერსიტეტი

№1-2 (287) იანვარი-თებერვალი, 2024 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან


## აქციეთ თქვენი ოცნება რეალობად სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად!

### აირჩიე 014

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**2024-2025 სასწავლო წლისთვის ფაკულტეტების მიხედვით წარმოგიდგენთ ყველა საგანმანათლებლო პროგრამას და საბაკალავრო პროგრამებს**

### განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საბაკალავრო პროგრამები:**
- ქართული ფილოლოგია
- ისტორია
- ინგლისური ფილოლოგია

სწავლა უფასოა

**სამაგისტრო პროგრამები:**
- ქართველური ენათმეცნიერება
- ქართული ლიტერატურის ისტორია
- საქართველოს ისტორია

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

**სადოქტრო პროგრამები:**
- ქართული ფილოლოგია
- საქართველოს ისტორია

სწავლის ღირებულება 500 ლარი

**დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა**

სწავლა უფასოა

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო — გვ.3

ველით ახალ თაობას ახალი იდეებით, მისწრაფებებითა და ინტერესებით... — გვ.4-5

„გვინდა, ვიპოვოთ ერთმანეთი!“ — გვ.6

წინაპართა „ზეპირი მეხსიერება“ ორტომად — გვ.7

შეხვედრა აბიტურიენტებთან — გვ.8

## ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

**საბაკალავრო პროგრამები:**

- ეკონომიკა — სწავლა უფასოა
- ბიზნესის ადმინისტრირება — სწავლის ღირებულება 2250 ლარი

**სამაგისტრო პროგრამა:**

- ბიზნესის ადმინისტრირება — სწავლის ღირებულება 2000 ლარი

**სადოქტრო პროგრამა:**

- ეკონომიკა — სწავლის ღირებულება 500 ლარი

## იურიდიული ფაკულტეტი

**საბაკალავრო პროგრამები:**

- საჯარო მმართველობა — სწავლა უფასოა
- სამართალი — სწავლის ღირებულება 2250 ლარი

## ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საბაკალავრო პროგრამები:**

- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- ეკოლოგია
- აგრონომია

სწავლა უფასოა

**სამაგისტრო პროგრამები:** — სწავლის ღირებულება 2000 ლარი

- ასტრონომია
- ბიზნეს-ინფორმატიკა
- აგროტექნოლოგია

- ვერეტინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა — სწავლა უფასოა

**სადოქტრო პროგრამები:**

- ინფორმაციული ტექნოლოგიები
- ვეტერინარია
- აგრონომია
- ასტრონომია

სწავლის ღირებულება 500 ლარი

## ქართული ფილოლოგია საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140102
ახალქალაქი - 0140103

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან ლიტერატურა

სწავლა უფასოა

## ისტორია საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140101

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან ლიტერატურა

სწავლა უფასოა

## ინგლისური ფილოლოგია საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140104

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან ლიტერატურა

სწავლა უფასოა

## დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140105

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან მათემატიკა

სწავლა უფასოა

## ბიზნესის ადმინისტრირება საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140106

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან მათემატიკა

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

## ეკონომიკა საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140107
ახალქალაქი - 0140108

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) მათემატიკა

სწავლა უფასოა

## სამართალი საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140109

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან სამოქალაქო განათლება ან მათემატიკა

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

## საჯარო მმართველობა საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140110

სწავლა უფასოა

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან მათემატიკა ან გეოგრაფია ან სამოქალაქო განათლება

## ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140111

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან მათემატიკა ან ფიზიკა

სწავლა უფასოა

## აგრონომია საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე - 0140112

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან მათემატიკა ან ქიმია ან ბიოლოგია

სწავლა უფასოა

## ეკოლოგია საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის კოდი
ახალციხე – 0140113

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან მათემატიკა ან ქიმია ან ბიოლოგია ან გეოგრაფია ან ფიზიკა

სწავლა უფასოა

## ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის კოდი – ახალციხე 0140114

**ჩასაბარებელი გამოცდები:**

1) ქართული ენა და ლიტერატურა
2) უცხოური ენა
3) ან ისტორია ან მათემატიკა ან ქიმია ან ბიოლოგია

სწავლა უფასოა

*ფრთაშესხმული ოცნების ასრულების დროა!*

აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი!

014

www.Sjuni.edu.ge

# სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო

**მაკა ბერიძე**
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი**

**მოგესალმებით.** მივესალმები ჩვენი გაზეთის მკითხველს. დავიწყებ და მოგახსენებთ, რომ ყოველწლიურად უფრო და უფრო ძლიერდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკაში ორი მთავარი მიმართულება. უპირველესი – საგანმანათლებლო პროცესი, მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი – ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ამ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის თანამდევიც უნდა იყოს და, ამავე დროს, უნივერსიტეტის ცნობადობას უნდა ზრდიდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ, ასევე, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს აძლევდეს შესაძლებლობას, ჩაერთონ პარტნიორ საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ განხორციელებულ აქტივობებში. ეს იქნება გაცვლითი პროგრამები თუ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

აქვე უნდა ვისაუბროთ უნივერსიტეტის დისტრიბუციის შესახებ, უნივერსიტეტის წვლილზე საზოგადოების განვითარებაში. ვგულისხმობ საზოგადოებისთვის დაგეგმილ ისეთ აქტივობებს, რომლებმაც სარგებელი მოუტანა არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ გასცდა აუდიტორიულ მეცადინეობას.

მოდით, დავიწყოთ იმით, რომ საგანმანათლებლო კუთხით ჩვენთვის ძალიან დამაიმედებელია აბიტურიენტთა მზარდი არჩევანი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის. ეს ძალიან მნშვნელოვანია და ახლაც მსურს, მოვუწოდო მათ, რომ მოვიდნენ ჩვენთან, მიიღონ ყველა ის მომსახურება და სერვისი, რომელიც აქვს უნივერსიტეტს. აბიტურიენტთა მზარდი არჩევანი ერთგვარი პასუხისმგებლობაცაა და, ამასთანავე, ახალ შესაძლებლობებს გვიქმნის. ასევე, გაზრდილია მობილობის მსურველთა რიცხვიც. ფაქტობრივად, ყველა უნივერსიტეტიდან გადმოდის ჩვენთან სტუდენტი და მეტსაც გეტყვით, კონკურსია გამოცხადებული ადგილებზე. სამწუხაროდ, ყველას ვერ ვაკმაყოფილებთ. რა თქმა უნდა, ეს მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს. როდესაც გაივლის სტუდენტობის პირველი ეიფორია და სტუდენტები პირისპირ დადგებიან იმ პრობლემებისა და მოთხოვნების წინაშე, რომლებიც რეალობაში ხვდებათ, ხშირად აღნიშნავენ, რომ ამ უნივერსიტეტში შეიძლება ხარისხიანი განათლების მიღება, არის მეტი შესაძლებლობა, ვიდრე სხვაგან ხვდებათ ხოლმე.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელიც 2023 წელს წარდგენილი იყო უმკაცრესი პროცედურებისთვის, გაიარა აკრედიტაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამებს.

არ მთავრდება საერთაშორისო მიმართულებით ურთიერთობები და პარტნიორების მოძიება. ნუ მიიღებთ ამას გადაჭარბებულ ნათქვამად, მაგრამ ძალიან ხშირად არც კი ყოფნის ფიზიკური დრო იმ შეხვედრებს, რომლებსაც გვთავაზობენ უცხოეთიდან. მხოლოდ მემორანდუმებზე არ ვსაუბრობ. წარმოიდგინეთ, რომ თითოეულ ამ კონტაქტს მოყვება კონკრეტული ღონისძიება. მაგალითად, ვეტერინარიის მიმართულებით არის ძალიან ცოტა უნივერსიტეტი, რომელიც ამ პროგრამებს ახორციელებს. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენს პარტნიორ თურქულ უნივერსიტეტებში გავუშვათ სტუდენტები და პირდაპირ ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესში, გახდნენ კვლევების მონაწილენი. ამავე დროს, ვეტერინარებთან ერთად, გვაქვს შესაძლებლობა, ის სტუდენტები წავიდნენ, ვინც თურქულს სწავლობენ.

ძალიან სერიოზულია სომხეთთან ურთიერთობა. სომხეთის გიუმრის კვლევის ცენტრთან გავაფორმეთ მემორანდუმი და ამას მოჰყვა ჩვენი სტუდენტების ჩართვა კვლევით პროცესში არქეოლოგიური მიმართულებით.

საუბარი დავიწყე მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებით. ამას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, საკვლევი საკითხები თუ კითხვის ნიშნები სწორედ მეზობელ ქვეყნებთან ჩნდება. უნივერსიტეტი იღებს თავზე ვალდებულებას, იქცეს სივრცედ, სადაც აკადმიურ გარემოში გაჟღერდება ყველა კითხვა და პასუხი.

გრძელდება ურთიერთობები ევროპის უნივერსიტეტებთან. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გრანტები უნივერსიტეტში უბრალოდ არ წყდება. ეს პედაგოგებისთვისაც, სტუდენტებისთვისაც და ადმინისტრაციისთვისაც ძალიან სერიოზული მხარდამჭერია. აბიტურიენტებს, რომლებიც აირჩევენ წელს ჩვენს უნივერსიტეტს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დახვდებათ. შევიძინეთ ისეთი აღჭურვილობები, რომლებიც შესაძლებლობას აფართოებს. მაგალითად, შარშან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად, რომელიც გულისხმობს ინოვაციებითა და ინკლუზიურობის გათვალისწინებით მეწარმეობის დანერგვას, იქმნება ლაბორატორია, რომელიც იქნება ძალიან კომპლექსური. ერთ შემთხვევაში, ყველა სტუდენტს, რომელიც მივა ამ ლაბორატორიაში, განუვითარებს მეწარმეობის უნარ-ჩვევებს და თავად ეს ლაბორატორია იქნება აღჭურვილი უახლესი ტექნიკით. ამასთანავე, უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, ჩაიწეროს ლექტორების ლექციები და განათავსოს პლატფორმაზე. სტუდენტს ეძლევა საშუალება, თუ რაიმეზე ვერ გაამახვილა ყურადღება, ლექცია მოისმინოს ხელახლა.

ფაქტობრივად დასრულდა და დღეს უნივერსიტეტს ფსიქოლოგიური ცენტრი აქვს სტუდენტთა მომსახურებისთვის. იქ მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული სპეციალისტები არიან. მე ძალიან მიხარია, რომ ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტს თუკი დასჭირდება დიაგნოსტიკა, საკუთარ თავზე მუშაობა და ფსიქოლოგის დახმარება, შეუძლია, უახლეს, ევროპულ ტესტებზე დაყრდნობით მიიღოს ინფორმაცია პირადი მონაცემების დაცვით სრულიად უფასოდ. ეს იმიტომ, რომ ის ამ უნივერსიტეტის სტუდენტია. ამ ყველაფრის შესაძლებლობას ჩვენ გვაძლევს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტები. თითოეულ პროექტში, მინიმუმ, სამი უცხოური უნივერსიტეტი ხდება ჩვენი პარტნიორი. ამ თანამშრომლობას მოაქვს ცოდნა, ახალი ევროპული აღჭურვილობა და ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი უახლესი წიგნები. ზოგიერთი, ევროპაში დაბეჭდვისთანავე, ჩვენთან ითარგმნება და ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება. ნათარგმნია 2023 წელს გამოსული წიგნები. საფრანგეთის მონტპელიეს უნივერსიტეტმა, რომელმაც დასაწყისში განახევრებული კვოტა შემოგვთავაზა, გაგვიორმაგა კვოტა იმიტომ, რომ ჩვენმა პროფესორმა, რომელიც იმყოფებოდა ამ უნივერსიტეტში, სწორი ლობირება გაუწია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ახლა, როდესაც ერთხელ სწორად ვიმონაწილეევეთ ამ პროექტში, ჩვენ უკვე გვაქვს მთავარი რამ – სახელი. ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა ვართ და დიახ „სჯობს სახელისა მოხვეჭა...“

მე იმის თქმა მსურს, რომ აუცილებლად მუდმივად გაგრძელდება საერთაშორისო ურთიერთობები. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები ჩავატაროთ აქ.

რომ მთხოვოთ, ერთი ფრაზით გადმოცემა, რას დავარქმევდი ამ საგანმანათლებლო გარემოს, ვიტყოდი – სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. მე ვთქვი, სტუდენტზე ორიენტირებული, რადგან თითოეული სტუდენტია აქ პრიორიტეტი. როდესაც აბიტურიენტებს ვეუბნები, რომ სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოა, შემდეგ ვცდილობ, უპირველესად, ჩემთან ურთიერთობა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მე თავად ვეკითხები სტუდენტს – რა არის მისთვის მოსახერხებელი. ჩემი მიდგომა ასეთია: რა არის იმაზე ძვირფასი და სასიამოვნო, ვიდრე სტუდენტური ცხოვრებით ტკბობა. ამიტომ, ჩვენ ყოველთვის ვუგებთ და ხელს ვუწყობთ მათ, ვცდილობთ, მაქსიმალურად ჩავრთოთ სტუდენტურ ცხოვრებაში.

რა არის ის, რითიც შეგვიძლია ვიამაყოთ. პრესისთვის ამას პირველად ვამბობ. ბუნებრივია, არცერთ ღონისძიებაში ჩვენი სტუდენტები უკან არ იხევენ და მონაწილეობენ ყველა ღონისძიებაში, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისა თუ ინფორმაციის გავრცელებისთვის. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ინკლუზიური საზოგადოება შევქმნათ და ამ მხრივ ჩვენივე ცნობიერება გავზარდოთ, ხელი შევუწყოთ დემოკრატიას, ვიმსჯელოთ ქალთა უფლებებზე, ტრეფიკინგსა და მის ცუდ მხარეზე, ძალადობაზე და ასე შემდეგ. ეს თემები,როგორც თანამდევი პროცესი, ყოველთვის გაჰყვება უნივერსიტეტს. ის, რომ დავაფასოთ ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები, რეგიონისთვის, ქვეყნისთვის გავმართოთ წიგნების წარდგენა, ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავია უნივერსიტეტში, მაგრამ არის ერთი რამ,რაც აქამდე უნივერსიტეტში არ იყო. ეს არის ის, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, ძალიან მნიშვნელოვან კვლევაში, საქართველოში აღმოჩნდა ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც დასახელდა, როგორც მისაბაძი. ხმამაღლა გაჟღერდა ერთობლივ საპარლამენტო სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი, დეოკუპაციის კომისია ბატონი გიორგი ვოლსკის ხელმძღვანელობით და სხვადასხვა ინსტიტუციები.

უნივერსიტეტში დაარსებული აფხაზური ცენტრი აღმოჩნდა უპრეცედენტო საქართველოში, აღმოჩნდა საუკეთესო გზა და ინსტრუმენტი მშვიდობისკენ სავალ გზაზე. ამ საკითხში ყველაზე ფასეული არის ის, რომ აფხაზური ცენტრი სტუდენტებისაა, მათ შექმნეს, ისინი ასულდგმულებენ, მათზე დგას, მათი ინიციატივაა. ეს უკვე ნიშნავს, რომ უწყვეტ ენერგიას ეყრდნობა. ახალგაზრდული ინიციატივის მხარდაჭერის კუთხით, უნივერსიტეტი აღმოჩნდა ყველაზე უფრო მობილური. მე ეს მეამაყება. აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ არის სივრცე, სადაც განათლებასთან ერთად შეგიძლია, სრულად რეალიზდე და გჯეროდეს, რომ შენ შეგიძლია შეცვალო რეალობა!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის 21-ე საუკუნეში თქვენი შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშემწყობი სივრცე. მე მოვუწოდებ აბიტურიენტებს, რომ აირჩიონ ჩვენი უნივერსიტეტი. მოსმენილს ნანახი ბევრად სჯობს, მოვიდნენ ჩვენთან!

*საუბარი ჩაიწერა*
***რიმა სუდაძემ***
*ქართული ფილოლოგიის სპეციალობის*
*მე-3 კურსის სტუდენტი*

# ველით ახალ თაობას ახალი იდეებით, მისწრაფებებითა და ინტერესებით...

**გულიკო ბექაური**
**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი**

**განათლების** მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა და ყველა ეპოქაში განსხვავებულ მიზნებს ემსახურებოდა. თანამედროვე მსოფლიოში განათლების სისტემის განვითარების მთავარი სტრატეგიული მიმართულება პიროვნებაზე და შედეგზე ორიენტირებული განათლებაა. განათლებას სოციალური ფუნქცია აქვს, იგი მომავალი თაობების აღზრდას ემსახურება და, გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, იცვლება სასწავლო მასალები და სწავლის მეთოდები.

21-ე საუკუნეში გარემო გვთავაზობს ახალ-ახალ გამოწვევებს, რომელიც გავლენას ახდენს თითოეულ პიროვნებაზე, მის საქმიანობაზე და რეალიზებაზე. ამ პროცესებში ყველაზე დიდი ადგილი განათლებას უკავია. ამიტომ, ჩვენი აზრით, საზოგადოების ეს მიმართულება ყველაზე ფაქიზი, ყველაზე საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, უფრო საინტერესო ხდება.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ერთ-ერთი დიდი ფაკულტეტია, რომელიც უნივერსიტეტის დაარსების დღიდან არსებობს და ახორციელებს პროგრამებს ჰუმანიტარული, განათლებისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. სასწავლო პროცესს უძღვებიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, მათგან: სრული პროფესორი – 7; ასოცირებული პროფესორი – 30; ასისტენტ პროფესორი – 2; მოწვეული დოქტორი – 9; მოწვეული მასწავლებელი – 30.

მათი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებს, სტუდენტსა და შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას. პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციებში, სხვადასხვა აქტივობებში.

დღევანდელი მონაცემებით, ფაკულტეტის ოთხივე მიმართულებით სწავლობს 700-მდე სტუდენტი, მათგან 37 სახელმწიფო, ხოლო 19 აკადემიური სტიპენდიანტია. 2022 წლიდან, ბადრი პატარკაციშვილის ფონდის ინიციატივით, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების 10 სტუდენტს ეძლევა პატარკაციშვილის სახელობის სტიპენდია, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მოტივაციაა მათთვის.

ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკურ, საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში, საზაფხულო სკოლებში, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, რომელიც იმართება როგორც კავკასიაში, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამები, მათგან საბაკალავრო და დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლა უფასოა.

აღსანიშნავია, რომ სულ ახლახან, თითოეულმა პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ფაკულტეტის მნიშვნელოვანი ამოცანაა სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნა.

გვჯერა, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ღირსეულად გააგრძელებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მდიდარ და ღირსეულ ტრადიციებს, რითაც ყოველთვის შეძლებს იამაყოს თითოეულმა სტუდენტმა და პროფესორ-მასწავლებელმა, რომლებიც ცდილობენ, სიახლეებზე და ცვლილებებზე ორიენტირებით, უპასუხონ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის გამოწვევებს.

ველით ახალ თაობას ახალი იდეებით, მისწრაფებებითა და ინტერესებით... ჩვენი ფაკულტეტი მათთვის მოლოდინების გამართლების, ცოდნის მიღებისა და განვითარების საუკეთესო შესაძლებლობა იქნება.

**ცისკარა ზარანდია**
**ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი**

**თითოეული** ჩვენგანის წარმატება და კეთილდღეობა დიდწილად არის დამოკიდებული ჩვენს არჩევანზე. ადამიანები ყოველთვის არჩევანის წინაშე დგანან, იქნება ეს ყოველდღიური რუტინა თუ ზოგადად ისეთი საქმიანობა, რომელსაც ჩვენი სამომავლო ცხოვრება უნდა დავუკავშიროთ.

ადამიანების მოთხოვნილებები და საჭიროებები იცვლება ფიზიოლოგიური, უსაფრთხოებისა და სოციალური საჭიროებებიდან დაწყებული, თვითშეფასებითა და თვითგამორკვევით დამთავრებული, რაც უკავშირდება პიროვნების თვითგამოხატვასა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლინება-რეალიზებას.

არჩეულმა პროფესიამ, პირველ რიგში, თავად პიროვნებას უნდა მოუტანოს კმაყოფილების განცდა და მოტივაცია სიკეთის ძიებისათვის, ასევე, სიმდიდრისა და კაპიტალის შექმნისა და დაგროვებისათვის, რათა წვლილი შევიტანოთ საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

ქვეყნის განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანური კაპიტალი, ხოლო ადამიანური კაპიტალი, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინვესტიცია ახალგაზრდა თაობის განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ-კულტურულ სფეროში. სწორედ ამიტომ პროფესიის სწორი არჩევანი და მასში განხორციელებული ინვესტიციები განსაზღვრავენ როგორც ცალკეული პიროვნებების, ისე მთლიანად საზოგადოების მომავალს.

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი არის სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ფაკულტეტის დებულებისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/სპეციალისტი, ფაკულტეტის მდივანი).

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი ახორციელებს და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია გაზეთის ამავე ნომერში იბეჭდება.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს და შესაბამისად, აკადემიური პერსონალი არჩეულია შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

ა) ბიზნესის ადმინისტრირება/საბუღალტრო აღრიცხვა;

ბ) ბიზნესის ადმინისტრირება/მენეჯმენტი;

გ) ბიზნესის ადმინისტრირება/ფინანსები;

დ) ეკონომიკა და სტატისტიკა.

თითოეულ მიმართულებას და საგანმანათლებლო პროგრამას კოორდინირებას უწევს მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც შესაბამისი აკადემიური პერსონალიდან ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. იგი პასუხისმგებელია მიმართულების სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

ყველა საქმეში საფუძველია ცოდნით, კვალიფიკაციით და განათლებით აღჭურვილი ადამიანური რესურსი, ამიტომაც ვირჩევთ პროფესიას და, შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ვირჩევთ იმისათვის, რომ შევქმნათ ღირსეული ხვალინდელი დღე.

ზოგადად, ადამიანები დგანან როგორც არჩევანის, ასევე რისკების წინაშე. ეს შეიძლება იყოს უმუშევრობის, ჯანმრთელობისა და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების რისკი. თითოეული მათგანის გადაწყვეტის გზები ისევ და ისევ განათლების მიღებას და ჭეშმარიტ პროფესიონალად ჩამოყალიბებას, აგრეთვე **განათლებას-დასაქმებას-შემოსავლებს** უკავშირდება.

ჩვენი საქმიანობის დიდი წილი ეკონომიკურ ცხოვრებაზე მოდის. თუ ვიქნებით წარმატებული ეკონომისტი, ფინანსისტი, მენეჯერი, ბუღალტერი, ბანკირი, ბიზნესის მმართველი, შეგვეძლება ფირმის, კორპორაციის, საჯარო და კერძო ფინანსების მდგრადობის, ზოგადად ეკონომიკის დიაგნოსტირება და შეფასება მიკრო და მაკრო დონეზე, შესაბამისად მიიღო სწორი გადაწყვეტილება.

სწორედ ამიტომ, უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება იმისათვის, რომ აირჩიოთ და სწავლა გააგრძელოთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე წარმოდგენილ სპეციალობებზე შემდეგი მიზეზების გამო:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით;

ადგილზე დასაქმების დიდი შესაძლებლობებია თვით სწავლის პროცესშიც კი;

ადგილზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების შესაძლებლობა;

წარჩინებულ სტუდენტებს დიდი შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტებში, აგრეთვე, წარმატებით გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე და ასე შემდეგ.

იმ დიდი სიკეთეებიდან, რაც თქვენ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და, შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე გელით და დაგხვდებათ, მხოლოდ მცირედი ჩამოვთვალე.

წარმატებებს გისურვებთ სიცოცხლის ხანგრძლივ ეტაპზე, განათლებისა და შემოქმედების მწვერვალზე ასვლის საქმეში, ასევე, გისურვებთ საუკეთესო არჩევანის გაკეთებას თქვენი ფინანსური, მატერიალური და სულიერი სტაბილურობისათვის.

## ლევან მაკარაძე

### ინჟინერიის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ინჟინერიის,** აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთი მზარდი და პროგრესზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სტრუქტურაა, სადაც სწავლება/სწავლის გაუმჯობესების კუთხით მრავალმხრივი რეფორმები ტარდება, მიზანი კი ერთია – ფაკულტეტზე აკრედიტებულ პროგრამებზე აკადემიური და სამეცნიერო განათლება მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის (EU) კანონმდებლობაში არსებულ მოთხოვნებს, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH), ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

გვეამაყება, რომ ფაკულტეტზე წარმატებით განხორციელდა აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, მათ შორის, ახლად შემუშავებულ ასტრონომიის სადოქტორო ქართულ და ინგლისურენოვანის, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფაკულტეტზე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და აგრონომიის მიმართულებით ხორციელდება სწავლება სამივე საფეხურზე, ხოლო ეკოლოგიის მიმართულებით ფიქსირდება მზარდი პერსპექტივა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმატება სახეზეა და ის შეუქცევადია.

ფაკულტეტზე სწავლების პროცესს ემსახურება ერთი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 9 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი და ერთი ასისტენტ პროფესორი, რომელთა მიღწევები შთამბეჭდავია და იმედის მომცემი. კერძოდ: ვეტერინარიის მიმართულებით გამოქვეყნებულია 511 სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 111 საზღვარგარეთ), 23 სახელმძღვანელო, გაცემულია 10 პატენტი, პროფესურა მონაწილეობს 7 საერთაშორისო და 2 ეროვნულ საგრანტო პროექტში; სჯსუს ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში – გამოიცა შრომათა კრებული სამ ენაზე.

წამყვანი პროფესურა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფებოდა აშშ-ში, გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში, შვედეთში, ბრაზილიაში. პროფესურის აქტიური ჩართულობით, ესტონეთისა და ლატვის კოლეგებთან ერთად, კონსორციუმის ფარგლებში, 2023 წელს განხორციელდა საქართველოს შრომის ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა ვეტერინარიის მიმართულებით და ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოიცა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო ნაშრომი „ვეტერინარიის თანამედროვე მდგომარეობა, გამოწვევები და პერსპექტივა“.

ვეტერინარიაში სწავლების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა პრომოვიდეოს გადაღება და მასალები განთავსდა სოციალურ ქსელში, რამაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა. აკადემიური პერსონალი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ესტონეთისა და ლატვიის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტზე სწავლებაში საუკეთესო პრაქტიკის გაცნობისა და მისი ვეტერინარიის მიმართულებით დანერგვის მიზნით. სასწავლო კურსების უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით, ვეტერინარიის „ერასმუს +“ -ის პროგრამის ფარგლებში, შეძენილ იქნა 50 ათასი ევროს ღირებულების უახლესი სამეცნიერო, აკადემიური და მეთოდური ლიტერატურა, მათ შორის უნიკალური ატლასები, ხოლო 120 ათასი ლარის ფარგლებში – სხვადასხვა სახის სასწავლო აღჭურვილობა და დანადგარები, რომელიც განთავსდა შესაბამის ლაბორატორიებში.

ვეტერინარიის მიმართულების 18 სტუდენტი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, იმყოფებოდა თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტზე, 22-მა სტუდენტმა აიმაღლა პრაქტიკული უნარ-ჩვევები საქართველოს ვეტერინარია-მეცხოველეობის მიმართულების მოწინავე საწარმოო-დაწესებულებებში. იგეგმება შემდგომი ფართომასშტაბიანი გაცვლითი პროგრამები ევროკავშირის წამყვან ვეტერინარულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2023 წელს, ვეტერინარი პროფესურის აქტიური ჩართულობით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარადგინა არგუმენტირებული პასუხები და მოსაზრებები საქართველოს პარლამენტის მიერ დაინტერესებულ თემატურ კითხვებზე ვეტერინარული განათლების სფეროში და საკადრო პოლიტიკაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგებმა ასახვა ჰპოვა პარლამენტის მიერ გამოცემულ თემატური მოკვლევის ანგარიშში – „ბაზრის მოთხოვნაზე მორგებული განათლების ხელმისაწვდომობა თანამედროვე აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებით“.

ფაკულტეტზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასტრონომია. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერმკვლევარები და კვალიფიციური აკადემიური პერსონალია, რომელთაც უცხოეთის მაღალ-

რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოცემული აქვთ 450-მდე ღირებული სამეცნიერო ნაშრომი; მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის ციურ სხეულებს მინიჭებული აქვთ მათი სახელები და დაჯილდოებული არიან მთავრობის მაღალი ჯილდოებით, ზოგიერთი მათგანი არჩეულია უცხოეთში გამოცემული მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალების ექსპერტებად. ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლობს 10 დოქტორანტი, მათ შორის ორი ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამაზე. დოქტორანტთა უმრავლესობას მიღებული აქვთ საგრანტო დაფინანსება, მათი სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად, ქართველ მეცნიერებთან ერთად, ჩართული არიან უცხოეთის პროფესურა.

2016 წელს ასტრონომიის მიმართულებით დაარსდა და წარმატებით ფუნქციონირებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „Astronomy & Astrophysics “, (Caucasus), რომელიც სამეცნიერო საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ასტროფიზიკის მიმართულებით ჩატარდა სამი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათამდე უცხო ქვეყნის საუკეთესო მკვლევარმა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება ფაკულტეტზე ერთ-ერთი მიმზიდველია სტუდენტებისათვის. პროგრამებზე, სწავლების დასაწყის ეტაპზე, უკვე პოპულარული გახდა სტუდენტთა ჩართულობა გუგლის დეველოპერების სტუდენტურ ჯგუფში – Google Developer Student Clubs-ის (GDSC), სადაც მათ ადვილად აღმოაჩინეს, თუ როგორ შეუძლია GDSC-ს გაზარდოს თითოეული დაინტერესებული სტუდენტის უნარი, გაარკვიოს ტექნიკური ინდუსტრიის უთვალავ შესაძლებლობაში და GDSC საკუთარი პოტენციალის სრულად გახსნის გასაღებად გამოიყენონ, რაც მას საომომავლოდ კარიერულ წინსვლაში დაეხმარება.

ტრადიციული გახდა და მიმართულებაში პოპულარობით სარგებლობს სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო ოლიმპიადა პროგრამირებაში და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მისი გამოყენება“, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ფაკულტეტისა და უცხოეთის შესაბამისი მიმართულების სტუდენტები. ფაკულტეტის დოქტორანტები და პედაგოგები ჩართული არიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა პროექტში, რაც სწავლება/სწავლის პროცესის ხარისხიანად ჩატარების მნიშვნელოვანი ბერკეტია. გუშინდელი დოქტორანტები დღეს წარმატებული პედაგოგები არიან.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს აგრონომიის მიმართულებით სწავლება. დღეისათვის აგრონომიის მიმართულებით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოქვეყნებულია 43 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 6 საზღვარგარეთის ინფაქტფაქტორიან და 13 საზღვარგარეთის რეფერირებად ჟურნალებში გამოიცა. თანაავტორობით გამოცემულია ერთი სახელმძღვანელო და 4 მონოგრაფია.

ფაკულტეტზე პოპულარული ხდება სწავლება ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. აბიტურიენტთა მიღების მონაცემები ადასტურებს, რომ ახალგაზრდებისთვის მიმზიდველია ეკოლოგიის პროგრამაზე სწავლება და იგი საიმედო სამომავლო პერსპექტივის მომცველია. ფაკულტეტზე სულ უფრო პოპულარული ხდება სწავლება პროფესიულ პროგრამებზე – „საექთნო განათლება“, „კომპიუტერული ქსელები და სისტემები“, „სატყეო საქმე“ და „ელექტრობა“. არსებული მიღწევები საიმედო საფუძველს იძლევა ფაკულტეტის შემდგომი ცნობადობის ამაღლებისა და განვითარებისათვის.

პარლამენტის თემატურმა მოკვლევამ დაადასტურა, რომ აგრარული მიმართულებით ვეტერინარია და აგრონომია, ხოლო გარემოსდაცვით სფეროში ეკოლოგია მიეკუთვნება დეფიციტურ პროფესიებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მითითებულ პროფესიებზე სწავლებას აფინანსებს სახელმწიფო, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ფაქტორი განვითარებისთვის და „დეფიციტის“ აღმოფხვრისათვის. აუცილებელია, შესაბამის პროფესიებზე გაუმჯობესდეს სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეიქმნას რეალური პირობები სწავლებისათვის.

პერსპექტივა სახეზეა, რაც რეალურ საფუძველს ქმნის, ფაკულტეტზე შეიქმნას კომფორტული გარემო სტუდენტების სწავლება/სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის, ხოლო აბიტურიენტებისთვის მიმზიდველი გახდეს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის სპეციალობების არჩევა.

## დავით ხოგელია

### იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედებს ორი – სამართლისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. ორივე პროგრამა არის მოთხოვნადი და პოპულარული. ორივე პროგრამას ემსახურებიან მაღალკვალიფიციური პროფესორები.

იურიდიული ფაკულტეტი გამოირჩევა დასაქმების პერსპექტივით. ჩვენი კურსდამთავრებულები მუშაობენ საქართველოს პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სასამართლოში, მუნიციპალიტეტში (მერია, საკრებულო), შემოსავლების სამსახურში, საჯარო რეესტრში და სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

გარდა ლექციებისა, ფაკულტეტზე ტარდება შეხვედრები აქტუალურ საკითხებზე სამართლის სხვადასხვა დარგის ცნობილ სპეციალისტებთან, პროკურატურის თანამშრომლებთან, ადვოკატებთან, მოსამართლეებთან, პარლამენტის წევრებთან.

ფაკულტეტის ორგანიზებითა და უნივერსიტეტის თანადგომით ზაფხულობით ტარდება საზაფხულო სკოლა ბათუმში, რომლის ფარგლებშიც ტარდება ტრენინგები კონსტიტუციური მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებზე, ვიზიტი საკონსტიტუციო სასამართლოში. სკოლის დასრულების შემდეგ სტუდენტები იღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

იურიდიული ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან (cela, usid, ctc და ა.შ.), რომელთა თანადგომით სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საგრანტო პროექტებში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება, მონაწილეობა მიეღოთ ზაფხულის სკოლებში, რომლებიც ჩატარდა ბაზალეთზე, ნატახტარში, თბილისში, ბათუმში. აღნიშნულ სკოლებში ისინი ხვდებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს და დარგის წამყვან სპეცილისტებს, მონაწილეობდნენ ინტელექტუალურ თამაშებში.

ჩვენი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, ასევე, გაცვლითი პროგრამებით სწავლობენ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ფაკულტეტზე დაინერგა ტრადიცია, რომლის ფარგლებშიც წარჩინებული სტუდენტებისთვის ტარდება ექსკურსია საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ასევე, წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ, მიიღონ სახელმწიფო სტიპენდია, ასევე, მერიის სტიპენდია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტებს ელოდებათ მეტად აქტიური ცხოვრების რიტმი. სწავლასთან ერთად, ისინი მონაწილეობას მიიღებენ უამრავ ღონისძიებაში, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

# „გვინდა, ვიპოვოთ ერთმანეთი!“

**„ჩემო აფხაზო მეგობარო, გეპატიჟებით ჩვენი უნივერსიტეტის აფხაზურ ცენტრში“; „მე მინდა ბევრი რამ გითხრა“; „ჩვენ ვართ ახალგაზრდები და გვაქვს ძალა“; „მე მაკლია შენი ხმა, მე მაინტერესებს შენი აზრი“; „მე მინდა დავწერო ძმობის ისტორია“; „მე მინდა ვიპოვოთ ერთმანეთი“; „ჩემო აფხაზო მეგობარო, მე შენ მიყვარხარ და მენატრები“.** – ეს გზავნილები, აფხაზურ და ქართულ ენაზე, გააჟღერეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ცენტრის – **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“** წევრებმა, აფხაზი თანატოლებისთვის, აღნიშნული ცენტრის ერთი წლის იუბილეზე. ამ დღეს, 26 დეკემბერს, ახალგაზრდებმა დამსწრე საზოგადოებას აფხაზური ცენტრის ერთი წლის ანგარიში წარუდგინეს. ამ დროის მანძილზე იყო არაერთი ღონისძიება, ტრენინგი, საზაფხულო სკოლა და ერთ-ერთი მთავარი – აფხაზური ენის შემსწავლელი კურსები.

სწორედ, აფხაზური ენის სწავლების სალექციო პროცესით დაიწყო იუბილის აღნიშვნის ღონისძიება, რომელსაც არაერთი სტუმარი ესწრებოდა.

ლექციის შემდეგ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაგრძელდა საიუბილეო ღონისძიება, რომელსაც აფხაზური ცენტრის წევრები **სალომე ხმალაძე** და **იური ბალახაძე** გაუძღვნენ. აფხაზური ცენტრის ერთი წლის საქმიანობის შესახებ ცენტრის წევრი **რიმა სუდაძე** მოუყვა დამსწრეთ.

ცენტრის წევრებმა **თენგიზ მელიქიძემ** და **პავლე ტატალაშვილმა** საზოგადოებას წარუდგინეს პრეზენტაცია აფხაზურ ტრადიციებთან დაკავშირებით. სტუდენტებმა მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს... ღონისძიების წამყვანებმა აღნიშნეს, რომ ერთი წლის განმავლობაში სიტყვის – „მხარდაჭერის“ მნიშვნელობა კარგად გაიაზრეს. აფხაზური ცენტრის მიმართ მხარდაჭერის გამოხატვა იყო შეხვედრაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის, სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის, მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის, თვითმმართველობის წარმომადგენლების დასწრება.

**განსაკუთრებით მადლიერი ვარ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტომ, რომ არის მაგალითი ჩვენთვის – აფხაზეთელებისთვის. დავაანონსებ, რომ აფხაზური ცენტრის წევრებისთვის ბევრი ღონისძიება იგეგმება. მიგულეთ თქვენ გვერდით.** – განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა **დავით ფაცაციამ.**

**კარგია, როდესაც სტუდენტებს ასე კარგად ესმით ჩვენი ქვეყნის ტკივილი. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ახალციხიდან ვსაუბრობთ აფხაზეთზე, აფხაზურ კულტურაზე, ჩვენს საერთოზე. მსგავსი ღონისძიება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენ ერთნი ვართ.** – აღნიშნა სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა.**

აფხაზურ ცენტრს იუბილე მიულოცა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა **ირაკლი ლაზარაშვილმა: ყოველთვის მჯერა ახალგაზრდების. გვეიმედებით, გვეამაყებით. მისასალმებელია აფხაზური ენის მიმართ ასეთი ინტერესი. მინდა გისურვოთ წარმატებები.**



განსაკუთრებული მადლიერება გამოიხატა ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოება – **„ერთობა ხვალისთვის“** თავმჯდომარის **გიორგი შერვაშიძისა** და მისი მოადგილის **შორენა ახალაიას** მიმართ.

გიორგი შერვაშიძემ მიულოცა ერთი წლის იუბილე აფხაზურ ცენტრს და მის წევრებს მეგობარი კომპანიის **„ამბრა 22-ის“** მიერ გამოგზავნილი საჩუქარი გადასცა: **აქ წარმოდგენილია ყველა ის ადამიანი, რომლებიც გულანთებულად და გულწრფელად არის ჩართული მშვიდობისა და მეგობრობის მშენებლობაში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვა გამოწვევების წინაშე დადგა. მადლობა ყველას, აქ აფხაზური ენის შესწავლა რომ დაიწყო. გვიგულეთ მუდამ თქვენ გვერდით.** – აღნიშნა ბატონმა გიორგიმ.

**მთავარი გამოწვევა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში დღეს არის გაუცხოების პროცესი და ნდობის აღდგენა. მინდა გითხრათ, რომ ამ გამოწვევას ფორმულა მოუძებნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზურმა ცენტრმა აფხაზური ენის პოპულარიზაციით, ტრადიციების პოპულარიზაციით. ამისთვის, თითოეულ ახალგაზრდას უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა.** – აღნიშნა აფხაზთა და ქართველთა ერთობის საზოგადოება „ერთობა ხვალისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **შორენა ახალაიამ.**

**საქართველოს ისტორიის მანძილზე, ცალ-ცალკე მესხეთი და აფხაზეთი არ ყოფილა. თუ ძლიერი იყო მესხეთი და აფხაზეთი, ძლიერი იყო საქართველო. მხოლოდ ბოლო საუკუნეში მოხდა ამ ტიპის გაუცხოება. მისასალმებელია, რომ ვსწავლობთ ჩვენს კიდევ ერთ სახელმწიფო ენას – აფხაზურს. მინდა, მოვუწონო ჩვენს სტუდენტებს ეს იდეა. თუ ენას ისწავლი, მეგობრობა უფრო ახლოს იქნება.** – აღნიშნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.**

აფხაზური ცენტრის წევრებმა ერთი წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებულ ესსეების კონკურსში გამარჯვებული სკოლის მოსწავლეები დააჯილდოვეს. ასევე, სამახსოვრო სერტიფიკატები გადაეცათ თავად აფხაზური ცენტრის წევრებს. აფხაზური ცენტრის ხელმძღვანელმა **ნათია ზურაბაშვილმა** და მოადგილემ **მარიამ გელაშვილმა** აფხაზური ცენტრის მოწმობები გადასცეს ცენტრის ახალ წევრებს, გაიხსენეს აფხაზური კვირეულის ღონისძიებები; საზაფხულო სკოლის მონაწილე სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ონლაინ ჩართვით, იუბილე მიულოცეს აფხაზურ ცენტრს.

ღონისძიება შეაჯამა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ.** აღსანიშნავია, რომ აფხაზურ ენას, უნივერსიტეტის რექტორი, სტუდენტებთან ერთად, თავადაც ეუფლება. ღონისძიება აფხაზურად და ქართულად ნათქვამმა სიტყვამ დაასრულა.

**ერთი წელია, რაც არსებობს აფხაზური ცენტრი ჩვენს უნივერსიტეტში. ის სტუდენტების ცენტრია, ის ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის, სიკეთისა და სიყვარულისთვის არსებობს. მე უნივერსიტეტის რექტორი ვარ. აფხაზო სტუდენტებო, მობრძანდით ჩვენთან. მე აფხაზურ ენას ვსწავლობ. როცა ჩამოხვალთ, მინდა აფხაზურად გითხრათ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება იქ, სადაც გელოდებიან, სადაც უყვარხართ.** – მიმართა აფხაზ ახალგაზრდებს, უნივერსიტეტის რექტორმა.

ღონისძიება დასრულდა ამაღელვებელი სიტყვებით – **გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, ერთიანს, მთლიანს, ძლიერს! გაუმარჯოს ჩვენს ევროპულ მომავალს! გაუმარჯოს თაობათა ერთიანობას! გაუმარჯოს აფხაზურ ცენტრს!** და... იური ბალახაძის მიერ შესრულებული მრავალჟამიერით.

*ლიკა ზაზაშვილი*

● **MENTOR** Assignment – Shadowing GW Short Course. Team mentoring meetings by GWU – მენტორობის მოკლე კურსი, პროცესზე დაკვირვების საფუძველზე, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ორგანიზებით, 23-26 იანვარს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის **„სამეწარმეო განათლება, გზა ინოვაციის, თანასწორობისა და ხარისხისაკენ (MES-CIF-1-22)“** ფარგლებში, მორიგი აქტივობა განხორციელდა პროექტის საერთაშორისო პარტნიორის – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის **„ინოვაციებისა და მეწარმეობის ოფისის (GWOIE)“** მიერ.

(GWOIE) წარმომადგენელების მიერ ონლაინ რეჟიმში ჩატარდა მენტორთა გადამზადების მოკლე კურსი – Mentor Assignment – Shadowing GW Short Course. Team mentoring meetings by GWU, სპეციალურად სჯსუ-ს და კავკასიის უნივერსიტეტის გუნდებისთვის, სადაც მათ საშუალება ჰქონდათ, დაკვირვებოდნენ Lean Startup პროგრამის ყოველ სესიას.



## ინფორმაციები

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის I-Corps რეგიონული მოკლე კურსი ემსახურება GWU-ს ფაკულტეტებსა და სტუდენტებს, DC-ის მეწარმეთა განვითარების ქსელის გუნდებს (EDNDC), NSF I-Corps Mid-Atlantic Hub-ის გუნდებს და მათ რეგიონულ და საერთაშორისო პარტნიორებს. ეს არის რეალურ სამყაროში, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება, რომელიც ასწავლის მონაწილეებს, როგორ მიიღონ ცოდნა პოტენციური მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეებისგან, რათა დაეხმარონ, შექმნან ახალი ინოვაციური პროდუქტები, რომლებიც სარგებელს მოუტანს საზოგადოებას. ამ პროცესში თქვენ დახარჯავთ დროს მომხმარებლებთან, პარტნიორებთან და კონკურენტებთან საუბარში და ისწავლით, როგორ გაუმკლავდეთ ინოვაციების კომერციალიზაციისა და საწარმოების შექმნის გაურკვევლობას.

● **15 თებერვალს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსის (ახალქალაქი) პროფესიული პროგრამის სტუდენტებმა, ინტელექტუალური თამაში **რა? სად? როდის?** გამართეს.

ინტელექტუალურ თამაშში საბაჟო საქმის, კომპიუტერული ქსელისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის სტუდენტები მონაწილეობდნენ, რომლებიც „მზისა“ და „სხარტების“ ჯგუფში გაერთიანდნენ.

ღონისძიების მიზანს ახალგაზრდების ზოგადი ცოდნის დონის გაღრმავება წარმოადგენდა.

თამაშში **რა? სად? როდის?** გამარჯვება მოიპოვეს გუნდის – „მზის“ წევრებმა: **ანნა ნაჩარიანმა, მარინა გაბრიელიანმა, მაკა იაკობაძემ, ნიკა გვარამაძემ** და **ტირუი მხითარიანმა.**

მონაწილეებსა და გამარჯვებულებს სიგელებს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე** გადასცემს.

● **22 თებერვალს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის კორპუსის სტუდენტებთან გაცნობითი, საინფორმაციო შეხვედრა გამართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისის წარმომადგენელმა **ანდრანიკ ბაღდასარიანმა.**

შეხვედრაზე ძირითადად საუბარი იყო სახალხო დამცველის მანდატისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ოფისის საქმიანობაზე, შემდეგ ღონისძიებამ ინტერაქციული ხასიათი მიიღო და კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

*ინფორმაციები უნივერსიტეტის **facebook**-ის გვერდიდან*

# წინაპართა „ზეპირი მეხსიერება“ ორტომად

**„მესხური ფოლკლორის“ I** ტომის გამოცემიდან შვიდი წლის შემდეგ გამოვიდა წიგნის **II** ტომი, რომლის პრეზენტაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 22 დეკემბერს შედგა. წიგნში შესული ფოლკლორული მასალის შემგროვებელი და გამომცემელ-რედაქტორი გახლავთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი **ავთანდილ ბერიძე.**

„მესხურ ფოლკლორში“ რესპუბლიკის სხვადასხვა მუზეუმიდან, არქივიდან თუ ფოლკლორის ცენტრიდან მოძიებული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შევიდა. ამ მუზეუმებსა და ცენტრებში დაცული აღმოჩნდა გასულ საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში მოღვაწე ფოლკლორისტების **ნიკო ასათიანის, გიორგი გოგოლაძის, ილია მაისურაძის, ვახტანგ სუდაძის, ვალერიან მაღრაძის, შოთა ლომსაძის** ჩანაწერები. ბევრი მასალა რეგიონის მოსახლეობაში იქნა მოძიებული. ასევე, წიგნში შევიდა პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის **გიორგი ზედგინიძის** მიერ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ჯავახეთში ჩაწერილი ხალხური პოეზიის, წეს-ჩვეულებების, ლეგენდებისა და თქმულებების ნიმუშები, ასევე, ახალქალაქის მკვიდრის, პოეტის, მთარგმნელისა და ფოლკლორისტის **არსენ კარაპეტიანის** მიერ ჯავახი (ქართველი) აშუღების ლექსები და თურქულენოვანი აშუღური პოეზიის მისეული თარგმანები. წიგნში განთავსდა ახალქალაქელი სახალხო მთქმელების – **არჩილ ლომსაძისა** და **ზაქარია ალელიშვილის** მიერ ჯავახეთში ჩაწერილი ლექსები და თქმულებები.

პრეზენტაციაზე ბევრი მომხსენებელი წარსდგა, ითქვა ბევრი საქებარი სიტყვა ავტორისა და წიგნის გამომცემელი ჯგუფის მიმართ. ხაზი გაესვა წიგნის შინაარსობრივ მხარეს, ასევე, ახალგაზრდა თაობისათვის „მესხური ფოლკლორის“ გამოცემის მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ წიგნში განთავსებულ მასალებზე შესაძლებელი იქნება არაერთი სამეცნიერო ნაშრომის შექმნა.

სტუდენტებმა – **სალომე ხმალაძემ** და **იური ბალახაძემ** პრეზენტაციაზე მოხსენებები წარმოადგინეს. ასევე, ქართული ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტებმა – **გოჰარ კარაპეტიანმა, მარიამ აბრამიშვილმა, ქრისტინე მასკალსკიმ** დამსწრე საზოგადოებისთვის ხალხური პოეზიის ნიმუშები წაიკითხეს.

ღონისძიება გახსნა ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ. ეს საუნჯე ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, მთელ ერს შეუკრიბა ბატონმა ავთანდილმა. შემოგვინახა ის მასალა, რაც მიმოფანტული იყო ჩვენი წინაპრების ზეპირ მეხსიერებაში.** – აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ.

„მესხური ფოლკლორის“ მნიშვნელობა და შინაარსობრივი მხარე მიმოიხილა წიგნის რეცენზენტმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.** მან აღნიშნა, რომ გამოცემას წინ უძღოდა „მესხური ფოლკლორის“ პირველი ტომი და რომ მკითხველი საზოგადოება მალე იხილავს მესამე ტომს.

**მეორე ტომში წარმოდგენილია მე-19 საუკუნის შემოქმედთა პოეზია. წინ არის წამოწეული აშუღური პოეზია. ასევე, გვხვდება ცნობილი ხალხური ლექსების ვარიანტები. საინტერესოა ჯავახეთში, მესხეთში გავრცელებული ტოპონიმური, ასევე, მე-20 საუკუნის სოციალისტური ყოფისთვის დამახასიათებელი ლექსები. ბევრია შაირები. განსაკუთრებით ფასობს თუშური ლექსი, გამოჩნდება ხოლმე ბიბლიური თემატიკა. ავთანდილ ბერიძეს დიდი საქმიანობა ჩაუტარებია. შეკრებილი მასალა დიდ სამსახურს გაუწევს არამარტო ხალხური პოეზიით დაინტერესებულ პირებს, არამედ მას გამოიყენებენ ეთნოლოგები, ისტორიკოსები... ხალხს დაუბრუნდება ხალხისგან შექმნილი პოეზია.** – აღნიშნა ბატონმა მერაბმა.

წიგნთან დაკავშირებული მოსაზრებები დამსწრეთ გაუზიარა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ: **მესხურ ფოლკლორს“ რამდენიმე მიზეზი აქვს, იყოს უბერებელი წიგნი. პირველი იმიტომ, რომ ის, რაც შეიქმნა, ჩვენზეა, ქართულ სულზეა... ასევე, წიგნი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. არ არსებობს თემატიკა, რომელსაც ამ წიგნში ვერ შეხვდებით. ბატონმა ავთანდილმა უდიდესი საქმე გააკეთა, რადგან ჩვენამდე მოიტანა ეს მარგალიტები. მადლობა ყველას ამ მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებისთვის.**

წიგნის პრეზენტაციაზე განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა** აღნიშნა, რომ ამ კუთხის დიდმა

სიყვარულმა შეაძლებინა ავთანდილ ბერიძეს გაძღოლოდა ამ დიდ საქმეს. ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** ბატონ ავთანდილს სამცხე-ჯავახეთის მხარის მზრუნველი უწოდა. ფოლკლორისტმა **მაია ივანიძემ** მათი სპეციალობის ადამიანებისათვის წიგნის უდიდეს მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. „მესხური ფოლკლორის“ მნიშვნელობაზე ისაუბრეს: პროფესორმა **ნესტან სულავამ,** უნივერსიტეტის მოწვეულმა პედაგოგმა **ვოვა ზედგინიძემ,** სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა **ციური ლაფაჩმა,** სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელმა **ირმა მერაბიშვილმა,** წაიკითხეს პოეტის – **ციური ასპანიძ-მესხიშვილის** მისალოცი სიტყვა.

**ჩვენ ვსაუბრობთ წიგნზე, რომელიც არასოდეს დაკარგავს თავის საჭიროებას და ღირებულებას. ეს წიგნი იქნება გენეტიკური მეხსიერება მთელი საქართველოსთვის.** – აღნიშნა ასოცირებულმა პროფესორმა **ქეთევან გრძელიშვილმა.**

დასასრულს, **ავთანდილ ბერიძემ** მიმართა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა მოახსენა წიგნის შედგენასა და დაფინანსებაში მონაწილე ყველა პირს: **წიგნის შექმნას თავისი საძირკველი ჰქონდა და ეს იყო გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“. 25 წელია არსებობს ეს გაზეთი. „ლიტერატურულ მესხეთში“ მოგვიანებით დავიწყეთ მესხური ფოლკლორის დაბეჭდვა. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, იმ დაწესებულების, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ. ასევე, რომ არ ყოფილიყო ეს უნივერსიტეტი, ეს წიგნი ვერ იქნებოდა. გამოვა „მესხური ფოლკლორის“ მე-3 ტომიც. ღმერთმა შეგვაძლებინოს, რომ მეტი გავაკეთოთ ჩვენი სამშობლოსათვის.**

*ლიკა ზაზაშვილი*

# ჩვენ დავტოვეთ თურქეთი, მან – არა

**რატომღაც,** კარგ მოგონებებზე საუბარი ყოველთვის რთულია. ვცდილობთ, რაც შეიძლება დიდხანს გავაგრძელოთ და წერტილი გვიან დავსვათ, მაგრამ რასაც აქვს დასაწყისი, აქვს დასასრულიც. ხანდახან ეს დასასრულები სხვა უფრო ლამაზი და საინტერესო ამბის დასაწყისი ხდება...

ცხოვრებაში პირველად არ ვიცი, საიდან ან როგორ უნდა დავიწყო, ან საერთოდ – რა ენაზე? რომელ ენაზე შემიძლია გადმოვცე ის ემოციები, რასაც ვგრძნობ?! მკითხველს ზუსტად ის როგორ ვაგრძნობინო, რაც საჭიროა?

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ჩვენი დიდი ოჯახი, რომელიც გვიქმნის უსაზღვროდ ბევრ შესაძლებლობას. ადგილი, სადაც თითოული ადამიანი ორიენტირებულია სტუდენტის წარმატებაზე.

ზუსტად ამ დიდი ოჯახის 15 წევრი, 2023 წლის დეკემბერს ოფიციალური სასწავლო ვიზიტით ვეწვიეთ ყარსის კავკასიის უნივერისტეტს, სადაც დიდი სიყვარულითა და სიხარულით მიგვიღეს. ადგილი, სადაც თავი სახლში გვაგრძნობინეს. ან, იქნებ, ადმიანები ჰქმნიდნენ სახლის გარემოს...

უსასზღვროდ მადლობელი ვართ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის – ქალბატონი მაკა ბერიძისა და ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის რექტორის – ბატონ ჰუსნუ ქაფუსი, რომელთა მიზანიც სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხარისხიანი განთლების მიცემაა.

ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში 12 დღის განმავლობაში ტარდებოდა თეორიულ-პრაქტიკული ლექციები ვეტერინარიის სტუდენტებისთვის, ამავდროულად, ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იყო თურქული ფილოლოგიის სტუდენტებისათვის, ვინაიდან და რადგანაც ლექციები იყო თურქულ ენაზე და ჩვენ ამას ვთარგმნიდით ქართულ ენაზე. ეს იყო ჩვენი ცხოვრების დაუვიწყარი 12 დღე, რომელმაც უნივერსიტეტის ისტორიაში და ჩვენს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ყარსის კავკასიის უნივერსიტეტს ერთმანეთთან აკავშირებს კავკასიური ენებისა და ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი – ქალბატონი მაია მესხიძე, რომლის ღვაწლი ორივე უნივერსიტეტის განვითარებაში უდიდესი და ფასდაუდებელია. ვერცერთი მადლიერების სიტყვა ვერ გადმოსცემს ისეთ მადლობას, როგორიც მას ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ ეს ჩვენთვის – თურქული ენისა და ლიტერატურის სტუდენტებისათვის, იყო პირველი გამოცდილება. რასაკვირველია, ძალზედ საპასუხისმგებლო და რთული საქმე იყო, მაგრამ იმ გარემომ, სითბომ და სიყვარულმა, რაც დაგვახვედრეს ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში, ჩვენში გააქრო ყოველნაირი შიში და პირიქით, ძალიან დაგვეხმარა პროფესიულ განვითარებაში. გასაოცარი იყო ის, თუ რაოდენ აღფრთოვანებული იყვნენ ჩვენი თურქული ენის ცოდნით, ეს ხომ უდიდესი სტიმულია, რომ გავაკეთოთ უფრო მეტი და კარგი.

აი, ასე დაიწერა თურქულ-ქართულ-სომხური მეგობრობის ისტორიის პირველი თავი. ამ წიგნს ვწერთ ჩვენ – სტუდენტები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს გავაგრძელებთ მის წერას.

და აი, ასე, თურქეთი ჩვენით დარჩა აღფრთოვანებული, ჩვენ კი – თურქეთით.

თურმე, რაოდენ რთული ყოფილა, გადმოიტანო ფურცელზე ის, რასაც გრძნობ...

*ვარსენიკ ვართანიანი*
**ინგლისური ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი**

# შეხვედრა აბიტურიენტებთან

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე** და რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** 29 თებერვალს, ადიგენის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებს, პედაგოგებსა და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს შეხვდნენ. ღონისძიება „ღია კარის დღის“ ფორმატში დაბა ადიგენის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **გოჩა ქიმაძე** ესწრებოდა.

**მადლობა ადიგენის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრს, რადგან ის გახლავთ საიმედო პარტნიორი უნივერსიტეტსა და ადიგენის საჯარო სკოლებს შორის თანამშრომლობის თვალსაზრისით. ასევე, მადლიერება მინდა გამოვხატო თითოეული სკოლის დირექტორის მიმართ. მინდა მივესალმო ჩვენს მოსწავლეებს. თუ რა სპეციალობას აირჩევენ ისინი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია. დიდი პატივისცემა მინდა გამოვხატო მუნიციპალიტეტის მერის მიმართ.** – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ და მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა დამსწრე საზოგადოებას.

იმას, თუ რა სიკეთეს სთავაზობს უნივერსიტეტი სტუდენტებს, რექტორმა მოსწავლეებს შეხვედრაზე მყოფი ვეტერინარიის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტის **პავლე ტატალაშვილის** მაგალითზე მოუთხრო. რექტორმა აღნიშნა, რომ პავლე ხუთი სახეობის სტიპენდიის მფლობელია, მონაწილეობა აქვს მიღებული თურქეთის რესპუბლიკის ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში, არის არაერთი ღონისძიების, ტრენინგისა თუ სემინარის მონაწილე, აქვს კიდევ ბევრი მიზანი და გეგმა და უნივერსიტეტს ასეთი არაერთი წარმატებული სტუდენტი ჰყავს.

ქალბატონმა მაკამ აბიტურიენტებს დეტალურად გააცნო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამები, ისაუბრა სტუდენტთა კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაზე, სტიპენდიებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სწავლების ოთხივე საფეხური აქვს – პროფესიული პროგრამებიდან დაწყებული სადოქტორო პროგრამების ჩათვლით.

მოსწავლეთა მხრიდან იყო არაერთი კითხვა, რომელზეც რექტორმა ამომწურავი პასუხი გასცა.

უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გაცნობისთვის მადლობა მოახსენეს რექტორს მასპინძლებმა. აღნიშნეს, რომ მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი ახალგაზრდებისთვის.

**ჩვენ ასეთი მაღალი დონისა და აკადემიური წრის სტუმრებით არ ვართ განებივრებული. მინდა, მადლობა გითხრათ თანამშრომლობისთვის, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტსა და უნივერსიტეტს შორის არსებობს. დარწმუნებული ვარ, თქვენი სტუმრობით ჩვენმა ახალგაზრდებმა საინტერესო შეთავაზებები მიიღეს. ვგეგმავთ კიდევ ბევრ აქტივობას და ვფიქრობ, სტუდენტები აუცილებლად ჩაერთვებიან ერთობლივ ღონისძიებებში.** – აღნიშნა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერმა **გოჩა ქიმაძემ.**

უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მადლობა მოახსენა ადიგენის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **ინგა ბოჭორიშვილმა: მახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი სკოლების ბევრი დირექტორი სწორედ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი მაღალი დონის განათლებას სთავაზობს სტუდენტებს. ის გარემოება, რომ ჩვენს რეგიონშივე მიიღებთ ასეთ სრულყოფილ განათლებას, მნიშვნელოვანია. მჯერა, ჩვენი მუნიციპალიტეტის ბევრი კურსდამთავრებული არჩევანს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეაჩერებს.**

სოფელ არლის საჯარო სკოლის დირექტორმა **მარო ჩხიტუნიძემ** მადლობა მოახსენა სტუმრებს იმისთვის, რომ უნივერსიტეტი ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინონ სრული რეალიზება, რომ გვერდში უდგას მათ ინიციატივებსა და ახალგაზრდულ წამოწყებებს. **პავლე ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულია,** – განაგრძო მან, – და **მისმა მაგალითმა გვაჩვენა, თუ როგორი წარმატებული შეიძლება იყოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტი. მინდა წარმატებები გისურვოთ თქვენ საქმიანობაში.**

ღონისძიებაზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ადიგენის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები.

„ღია კარის დღე“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და ადიგენის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.

**ლიკა ზაზაშვილი**

# სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ისევ წიგნები, სიახლეები...

**ხათუნა კვინიცხაძე**

**სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი**

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 2023 წელს მრავალფეროვანი წიგნებით განახლდა. მათ შორის გამოვყოფდი ჩვენი პროფესორების მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში შეძენილ წიგნებს.

2023 წელს გამოიცა პედაგოგიკის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის ნატო ყრუაშვილის წიგნი – **„იოსებ ხუციშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობა“** (დამხმარე სახელმძღვანელო). ნაშრომში წარმოდგენილია ქართველი კათოლიკე მღვდლის – მამა იოსებ ხუციშვილის (მესხი გუტენბერგის) ცხოვრება და მოღვაწეობა, წარმოჩენილია მისი საგანმანათლებლო საქმიანობა და ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

პროფესორ **უჩა ბლუაშვილის – „პოლიტიკურ მეცნიერებათა შესავალი“** (ლექციების კურსი)“ მეორე გამოცემა, მოიცავს პოლიტიკის რაობის, მმართველობითი ფორმების, პოლიტიკური იდეოლოგიების, დემოკრატიის, სახელმწიფოს, ერებისა და ნაციონალიზმის, პარტიული სისტემებისა და სხვა საინტერესო პოლიტიკური მეცნიერების საკითხების განხილვას.

პროფესორ **ჯემალ მამაიაშვილის** სახელმძღვანელოში – **„ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება“** (ლექციების კურსი) განხილულია ეკონომიკური სისტემა, სისტემური მიდგომის კონცეფცია, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების კლასიფიკაცია და მათი მოდელირების ეტაპები.

ასოცირებული პროფესორის **დალი ბეთხოშვილის** წიგნში – **„აკაკი წერეთლის შემოქმედების მსოფლმხედველობითი პრობლემები“** ავტორის მიერ განხილულია აკაკი წერეთლის შემოქმედება, რომელიც მუდმივად იძლევა ახლებურად დანახვისა და გააზრების საშუალებას. განსაკუთრებით, მხატვრულ სახეთა სისტემურობის საკითხი.

შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – **„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება“** – ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომუშავე ავტორთა ჯგუფის მიერ გამოიცა წიგნი – **„ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება“.** მონოგრაფიაზე მუშაობდნენ: **მერაბ ბერიძე, ინგა ღუტიძე, როინ ყავრელიშვილი, ხათუნა გაფრინდაშვილი, მაია ბალასანიანი, მაკა ბერიძე, კუკური მეტრეველი, ნინო ხაზალაშვილი.**




საინტერესო და რარიტეტული წიგნები იქნა შეძენილი **„ერასმუს +“**-ის საერთაშორისო პროექტის – **„ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის“** დაფინანსების ფარგლებში. ესენია: **დავით მაჭავარიანის** გრაფიკული რომანი – **„ვეფხისტყაოსანი“.**

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ახალ გამოცემაში ქართველი სუპერგმირების – ავთანდილის, თინათინის, ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის, უანგარო მეგობრობის, თანაგრძნობისა და თავგანწირვის ამბავი სრულიად ახლებური ხედვითაა გადმოცემული. მხატვარი **დავით მაჭავარიანი** ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა ამბის ვიზუალურ თხრობაზე.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისგან საჩუქრად გადმოცემული წიგნებით საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის შევსება და განახლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა: „მეცნიერების პოპულარიზაციის“ **პროგრამის „ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა“,** ქვეპროგრამის ფარგლებში დაბეჭდილი, სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო ლიტერატურა, სულ 155 წიგნი (წიგნების ღირებულება 3336,94 ლარი).

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის სასწავლო დარგში – პროფესორ **ნიკოლოზ ახალკაცის** ხელშეწყობით, გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“-ს ხელმძღვანელმა, ასოც. პროფესორმა **მაია ღამბაშიძემ** საჩუქრად გადმოგვცა 149 წიგნი. ეს არაა პირველი შემოწირულობა. ქალბატონმა მაიამ 2022 წელსაც გადმოგვცა საჩუქრად წიგნები, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.

კიდევ მრავალი საინტერესო სახელმძღვანელოთი გამდიდრდა ჩვენი სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის უკეთ წარმართვას. დიდ მადლობას ვუხდით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს **როინ თათეშვილს** და შესაბამის სამსახურებს, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ სილაბუსებით გათვალისწინებული განახლებული ლიტერატურის შეძენაში.

# განათლება ყოველთვის უპირველესია

## ვესაუბრებით უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკურ ხელმძღვანელს ხათუნა კვინცხაძეს

**– უამბეთ ჩვენს მკითხველს თქვენ შესახებ. ვინ არის ქალბატონი ხათუნა კვინცხაძე?**

– ხათუნა კვინცხაძე არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი და ვასწავლი საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ამასთანავე, ხათუნა კვინცხაძე არის ახალციხელი (სახეზე სიამაყით აღსავსე ღიმილი იკითხება. **რ. ს.**).

დავიბადე 1968 წელს. დავამთავრე შოთა რუსთაველის სახელობის №1 საშუალო სკოლა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ვმუშაობდი სხვადასხვა ადგილას და 2008 წელს, კონკურსის შედეგად, მოვედი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავდაპირველად, ვმუშაობდი ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებაში, შემდეგ – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ვიყავი კანცელარიის გამგე და ბოლოს მოვედი აქ, ბიბლიოთეკაში.

**– დღის განმავლობაში უამრავ ახალგაზრდასთან გიწევთ ურთიერთობა. როგორ ემოციებთან გაკავშირებთ სტუდენტებთან ურთიერთობა?**

– იცით, არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე ბიბლიოთეკაში მოვხვდებოდი, რადგან ტექნიკური განათლება მაქვს. თუ ვიმსჯელებთ იმ კუთხით, რომ ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა წიგნი და კითხვა, ჩემთვის შინაურული, ნაცნობი გარემოა აქ. რაც შეეხება სტუდენტებს, ყოველთვის მიხარია მათი მოსვლა და მუდამ მზად ვარ, დავეხმარო მათ არა მარტო საბიბლიოთეკო სფეროში, არამედ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. არასდროს, არცერთი წუთით არ იფიქროთ, ძვირფასო სტუდენტებო, რომ ვწუხდები. პირიქით, მსიამოვნებს, როდესაც შემიძლია, რაიმეთი დაგეხმაროთ.

**– როდესაც სამუშაო დღის შემდეგ შინ ბრუნდებით, რა არის თქვენი ფიქრი და საზრუნავი?**

– იცით, მე არასდროს ვიყავი ადამიანი, რომელიც სამზარეულოში ტრიალს უთმობდა მთელ დროს. ჩემთვის პრიორიტეტი ყოველთვის იყო ჩემი შვილების განათლება. ახლა, როდესაც უკვე დამოუკიდებლად ცხოვრობენ, შინ მისულს, ანთებულ ბუხართან, დროის საინტერესოდ გატარება მიყვარს. მიზიდავს ასტრონომია და ყოველთვის სიამოვნებით ვეცნობი ახალ-ახალ ინფორმაციას.

**– რომ არა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სად წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?**

– გულწრფელად გეტყვით, სანამ აქ მოვიდოდი, ვმუშაობდი არქიტექტურის სამსახურში, ანუ პროექტებს ვამზადებდი. ისევ იქ ვიქნებოდი, ალბათ. სრულიად განსხვავებული სფეროებია, მაგრამ მთავარია, რომ მიაგნო იმას, რაც გსიამოვნებს ამა თუ იმ სფეროში და იმ ხაზით წახვიდე. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი სარეკლამო კომპანიებში, ლოგოებს შევქმნიდი. უნივერსიტეტშიც ხშირად ვმუშაობ ხოლმე ლოგოების საკითხზე. ძალიან მიზიდავს ეს თემა.

**– რა არის ის, რასაც შეუძლია, ხასიათი გამოგიკეთოთ ნებისმიერი რთული მომენტის მიუხედავად?**

– რაიმე სახალისოს, კარგ და ინტელექტუალურ იუმორს შეუძლია, გამომისწოროს განწყობა.

**– თქვენ, თითქმის, ყველაზე მეტ დროს ატარებთ სტუდენტების გარემოცვაში. როგორ შეაფასებდით ახალ თაობას?**

– ორი რადიკალური მხარეა. ერთი – ძალიან ღრმა, ბეჯითები, განათლებულები და მეორე – დაუჯერებელი რეალობა რომაა, ისეთი. აქაც და ზოგადადაც, ვხვდები მსგავს ტენდენციას – საშუალო დონე აღარაა. არიან საკმაოდ ზრდილობიანები, ჭკვიანები, მიზანდასახულები და არიან ისინიც, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რა სურთ, რა რეალობაში ცხოვრობენ. ჩემი სტუდენტობის პერიოდში ასე არ იყო. მაშინ ზოგად განათლებას ყველა იღებდა და ეს ზოგადი განათლება, უკვე სკოლიდან უნივერსიტეტში გადასვლისას, ძალიან აისახება სტუდენტურ ვითარებაზე.

**– მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა შესაძლებლობები ბევრად მეტია. თქვენ რომ ასეთ რეალობაში გეცხოვრათ ჩვენს ასაკში...**

– აუცილებლად ვიქნებოდი აიტის სპეციალისტი. ვიქნებოდი მონაცემთა ანალიტიკოსი ან რაიმე მსგავს სფეროს გავყვებოდი. უბრალოდ, ჩემი სტუდენტობის დროს ეს სპეციალობა არც არსებობდა.

**– თუ გქონიათ შემთხვევა, როდესაც გიცდიათ, თქვენი შვილები დაუფლებოდნენ იმ პროფესიას,რომელიც თქვენ ასე ძალიან გსურდათ?**

– ჩემი მეუღლე არქიტექტორია. მეც ამ სფეროში ვმუშაობდი და ძალიან მინდოდა ჩემი შვილიც ყოფილიყო ინჟინერი ან რაიმე სხვა, მსგავსი პროფესიის, მაგრამ ამ გზას არ გაყვა და ძალიან კარგი, რამეთუ აუცილებელია, ის გზა აირჩიოს, რომლისკენაც გული მიუწევს და აინტერესებს. ანუ, მცდელობა გვქონდა, თუმცა, როდესაც შევხედეთ, რომ მისი ინტერესი სხვა იყო, მაშინვე თავი დავანებე ამ თემაზე საუბარს. ბევრი მშობელი თუ გააკეთებს ამას, ძალიან კარგი იქნება. ხელი შეუწყეთ შვილებს საკუთარი მიზნების მიღწევაში და არა იმაში, რაც თქვენ გინდათ ან გინდოდათ.

**– დაგვიხასიათეთ თქვენი პიროვნება რამდენიმე სიტყვით.**

– პირველ რიგში, ძალიან მიყვარს მუსიკა, ძალიან! ვარ კომუნიკაბელური, მაგრამ თუ ვინმემ გამაბრაზა, მერე უკვე ყველაფერი ცუდადაა. ეს უარყოფითი თვისება ნამდვილად მაქვს. არ მიყვარს უზრდელი ადამიანი (და ისმის სიცოცხლით სავსე ხმა კოლეგებისგან: „ხათუნა არის შუშხუნა, გრუხუნა, ხმაურიანი, მხიარული, იუმორით აღსავსე, არაჩვეულებრივი ქალბატონი“. **რ. ს.**).

**– განათლება არის...**

– ნომერ პირველი. განათლება და ზრდილობა – ორი აუცილებელი რამაა. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ცოდნა, მაგრამ იყოს უხეში, საზოგადოებაში ქცევის წესები არ იცოდეს... ორივე აუცილებელია, განათლება ზრდილობის გარეშე ვერ იარსებებს.

**– და ბოლოს, რა არის ცხოვრებაში უმთავრესი, ის, რის გარეშეც უბრალოდ არაფერი ღირს.**

– რა თქმა უნდა, ოჯახი! თუ შენს ოჯახში იდილია, სიმშვიდე და ზრუნვა არ სუფევს, ეს ყოველივე გავლენას ახდენს სამსახურზეც და მთელ თქვენს რეალობაზეც. ოჯახია უპირველესი, მის გარეშე ფასი არაფერს აქვს. დიახ, კარიერა, წარმატება აუცილებელი ფაქტორებია, მაგრამ ეს ყოველივე – ოჯახისთვის .

**– უღრმესი მადლობა გულწრფელი და საინტერესო პასუხებისთვის.**

*ინტერვიუერი **რიმა სუდაძე***
*ქართული ფილოლოგიის*
*მე-3 კურსის სტუდენტი*

# „აბიტურიენტებს ვურჩევ, ის პროფესია აირჩიონ, რომელიც მათთვის ღირებული, საინტერესო და მნიშვნელოვანია“

## ვესაუბრებით ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტს პავლე ტატალაშვილს

**– მოგესალმები, პავლე. უნივერსიტეტი ამაყობს შენი მიღწევითა და წარმატებით, ასევე, ბევრი სტუდენტისთვის ხარ ცოცხალი მაგალითი. გვიამბე შენს შესახებ.**

– ვარ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლიდან. 2022 წელს ჩავირიცხე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამაზე. სხვა სტუდენტების მსგავსად მეც დიდი მოლოდინი მქონდა – ახალი მეგობრების შეძენის, კარგი გარემოსი და ურთიერთობების, თუმცა, რეალობამ მოლოდინს ბევრად გადააჭარბა. ამასთან, გავხდი რეზერვისტი, უამრავი ადამიანი შევიძინე, ახალი ნაცნობები გავიჩინე და შედეგად, მათთან დამყარებული მეგობრობით ვამაყობ.

ვეტერინარიის პროგრამაზე ჩავაბარე იმიტომ, რომ ჩემთვის ეს საქმე ძალიან საინტერესოა, მიყვარს ცხოველებთან ურთიერთობა და ვფიქრობ, ცხოველებისგან მოდის ის მუხტი, რაც ადამიანს სჭირდება, ავსებს...

**– რა იყო შენთვის ის მთავარი ღირებულება, რის გამოც სჯსუ აირჩიე?**

– ის, რომ ჩვენს მხარეში ადაპტაცია ამ გარემოსთან უფრო ადვილი იყო. ამასთან, ჩემი პროფესია ხუთწლიანია, ინტეგრირებული პროგრამაა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დოქტორანტურაზე მინდა გაგრძელება და სამაგისტრო პროგრამა მოტივაციაა ჩემთვის.

**– არაერთი სტიპენდიის მფლობელი ხარ. გვიამბე უნივერსიტეტის როლსა და მის მნიშვნელობაზე შენი მიღწევების პროცესში.**

– პირველი სასწავლო სემესტრი რომ დავამთავრე, ვფიქრობდი, ჩვეულებრივი სტუდენტი ვიყავი, როგორც სხვები, სხვა სტუდენტები... ალბათ, ჩემმა შრომამ და ენთუზიაზმმა თავისი შედეგი გამოიღო. პირველი სემეტრის შემდეგ ავიღე მერიის სტიპენდია, შემდეგ – თამაზ ბექაიას ფონდის. ახლა მეორე კურსზე ვარ და თამაზ ბექაიას ფონდის სტიპენდიანტი მეორედ, ხოლო მერიის – მესამედ გავხდი. ჩემთვის მოულოდნელად, უნივერსიტეტის კომისიას ჩემი მონაცემები აგროსტიპენდიის კონკურსშიც გაუგზავნია და უკვე ამ სტიპენდიის მფლობელიც ვარ. ეს ყველაფერი მოტივაციასა და სტიმულს მმატებს – ვიყო პროფესიონალი და გამოვადგე ქვეყანას ჩემს დარგში.

**– ალბათ, ყველა სტუდენტს გვაქვს მომენტი, თითქოს, დროებით დასვენება, ერთგვარი პაუზა გვინდა. რა არის შენთვის ის მთავარი მოტივაცია, რომელიც გეხმარება ყოველთვის ტონუსში იყო და სწავლაზე არასდროს არ თქვა უარი?**

– პირველ რიგში, ვფიქრობ, ეს პროფესურის დამსახურებაა. ჩემს პიროვნებას ეს ყველაფერი მეტ ინტერესს მატებს, ტემპსაც არ ვკარგავ. მათი მხრიდან ამ დამოკიდებულებას რომ ვგრძნობთ ჩვენც, სტუდენტები, ვცდილობთ, მუდამ წინ მივიწევდეთ და ფორმას არ ვკარგავთ. მეორე ფაქტორად ოჯახი მიმაჩნია, რადგან მუდამ გვერდით მიდგანან, გადაწყვეტილების მიღებისას რჩევებს მაძლევენ. აგრეთვე განსაკუთრებული და აღსანიშნი ჩემი სტუდენტი მეგობრების მხარდაჭერა და ჯანსაღი დამოკიდებულებაა, რადგან ეს ერთგვარად მოტივაციას მმატებს.

**– შენს ცხოვრებაში, არაფორმალური განათლების როლზეც რომ გვითხრა მოკლედ, რა ადგილს უთმობ მას და როგორ გეხმარება წარმატების მიღწევაში?**

– ვფიქრობ, პროფესია მხოლოდ ჩარჩოებში მოქცეული მასალა არ არის, ეს არაფორმალური განათლებაცაა, რადგან ფართო საზოგადოებასთან წარდგომისას კომუნიკაციის სირთულე არ გაჩნდეს. არაფორმალურ განათლებაში სკოლის პერიოდიდან ვიყავი ჩართული და უნივერსიტეტშიც ასე გავაგრძელე. ვესწრებოდი ღონისძიებებს და შედეგად შევიძინე უამრავი თბილი ადამიანი. ეს მნიშვნელოვანია – დაეხმარო სხვებს და ასევე დაეხმარო საკუთარ თავს.

**– სტუდენტის სტატუსთან ერთად შენს პიროვნებას ახლავს ისეთი მნიშვნელოვანი რეგალია, როგორიც ქართველ ჯარისკაცთა რიგებში ყოფნაა. პავლე, რას ნიშნავს, როგორია სტუდენტი - რეზერვისტის ამპლუაში ყოფნა?**

– სტუდენტ-რეზერვისტობა ნიშნავს იმას, რომ ერთდროულად ვიყო ჩემი პროფესიის ღირსეული წარმომადგენელი და ასევე ვიყო ღირსეული ჯარისკაცი, ქვეყნის მოქალაქე. უნივერსიტეტის პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ იყო რეზერვის პროგრამა, რომელიც საშუალებას მომცემდა სტუდენტობასთან ერთად ვყოფილიყავი ჯარისკაციც და... წარმატებულ სტუდენტობასთან ერთად ვმსახურობ ტერიტორიულ რეზერვში, ესეც გამოწვევა იყო, რომელსაც, ვფიქრობ, კარგად შევხვდი და ვაგრძელებ ამ გზას სწორი მიმართულებით.

**– წარმატებული სტუდენტის გადმოსახედიდან, რას ურჩევდი აბიტურიენტებსა და სტუდენტებს?**

– აბიტურიენტებს ვურჩევ, ის პროფესია აირჩიონ, რომელიც მათთვის ღირებული, საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომელიც სამომავლოდ გამოადგებათ. საკუთარი თავი უნდა იპოვონ და უყვარდეთ საკუთარი საქმე, რათა იყვნენ საკუთარი საქმის ღირსეული წარმომადგენლები. კურსელებსა და მეგობრებს ვურჩევდი საკუთარი საქმე უყვარდეთ და მას გულით მოეკიდნენ.

**– მადლობა, პავლე, საინტერესო ინტერვიუსთვის. კიდევ უამრავ წარმატებას გისურვებ!**

*ინტერვიუერი*
***ნატალია ვარდიძე***
*ბიზნესის ადმინისტრირების*
*ფაკულტეტის*
*მე-4 კურსის სტუდენტი*

# პროექტი – „სტუდენტური სერვისები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში“

**სტუდენტური** სერვისები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უმაღლეს სასწავლებლებში. სერვისებით სარგებლობა შეუძლია ყველა სტუდენტს. ისმის კითხვა, რამდენად ხშირად იყენებენ მათ სტუდენტები? ქალბატონმა **გულიკო ჯანოვამ** შემოგვთავაზა, რომ გვემუშავა პროექტზე – **„სტუდენტური სერვისები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.**

დავისახეთ მიზანი და მის მისაღწევად შევადგინეთ სამოქმედო გეგმა. შეიქმნა ოთხი ჯგუფი. თითოეულ მათგანს ჰქონდა თავისი დავალება. დროდადრო ჯგუფები ვიკრიბებოდით და ვსაუბრობდით პროექტის ირგვლივ პროექტის ხელმძღვანელთან ერთად.

პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ: **ნანა ჭეიშვილი, რიტა გრიგორიანი, სალომე წიქარიშვილი** და **ირა შერგელაშვილი.** მათი რესპონდენტები იყვნენ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სტუდენტური სერვისები მათ დროს აქტიური იყო, მაგრამ გამოკითხულთა თითქმის 55% -ს არ გამოუყენებია ის. 10%-მა კი განაცხადა, რომ არ იცოდნენ ამ სერვისების არსებობის შესახებ. მისასალმებელია, რომ 4 % იყენებდა ბიბლიოთეკას, ესწრებოდა შეხვედრებს რექტორთან და დეკანთან. გამოკითხულთა 30 %-ს მიაჩნია, რომ სტუდენტური სერვისები გაუმჯობესდა მათი სწავლის პერიოდში.

კითხვაზე – **რას შეცვლიდით სტუდენტური მომსახურების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად?** რესპონდენტთა 70%– თვის მნიშვნელოვანია სასადილოს საკითხი, 5%-მა მოისურვა უნივერსიტეტის ეზოში უფრო მეტი სკამი. გამოკითხულთა 50%-მა დაასახელა გათბობის პრობლემა. როგორც ვხედავთ, ის პრობლემები, რომლებიც კურსდამთავრებულებს ჰქონდათ სწავლის პერიოდში, დღეს უკვე გადაჭრილია.

მეორე ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ: **მარიამ ხითარიშვილი, მარიამ კოჟორიძე** და **ანა დემეტრაძე.** მათი მიზანი იყო სტუდენტთა გამოკითხვა. კითხვაზე – **გაქვთ თუ არა ინფორმაცია სტუდენტური სერვისების შესახებ?** 54%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 43%-ის პასუხი უარყოფითია. მე-2 კითხვაზე – **რამდენად კმაყოფილი ხართ სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნებითა და მომსახურებით?** აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა მხოლოდ 45.7%-ია კმაყოფილი, 45,7% ნაწილობრივ კმაყოფილია, მხოლოდ 8,6% საერთოდ არაა კმაყოფილი. სტუდენტთა 46% ხშირად იყენებს ამ სერვისებს, 52% იშვიათად, ხოლო 2% საერთოდ არ იყენებს. გამოკითხულ სტუდენტთა 85.7% იყენებს ბიბლიოთეკის სერვისს, 62.9% სარგებლობს სასადილოს მომსახურეობით, 5,7% ფსიქოლოგის მომსახურეობით, დასასვენებელი სივრცით – 40%, სპორტული დარბაზით – 20%, სხვა სერვისებით 14.3%.

კითხვაზე – **რომელი სერვისის დამატება ან გაუმჯობესება გსურთ?** სტუდენტთა პასუხები მრავალფეროვანია, ზოგიერთი მათგანი საინტერესოც კი.

- სტუდენტს საშუალება უნდა ჰქონდეს, თავად აირჩიოს სასწავლო საგნები, ლექტორები და დრო;
- უკეთ მოწყობილი ტუალეტები;
- სივრცე, სადაც იქნება ყველა საჭირო საკანცელარიო ნივთი, მაგ. ფურცლები, პრინტერი, სტეპლერი და ა.შ., რომელთა გამოყენებას შეძლებს სტუდენტი (დღეს ამ ფუნქციას ბიბლიოთეკა ითავსებს და მადლობა მათ).
- ბიბლიოთეკის გაფართოება;
- საერთო საცხოვრებელი სტუდენტებისთვის;
- სატრანსპორტო შეღავათები სტუდენტებისთვის;
- მუსიკისა და უცხო ენების წრე;
- სამაგიდო თამაშები;
- მეტი დასასვენებელი სივრცე, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე ეზოში;
- პრაქტიკა სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის;
- სასადილოს გახსნა უნივერსიტეტის მეორე კორპუსში.

საინტერესოა პასუხები კითხვაზე – **იყენებთ თუ არა მოსაცდელ სივრცეს და რას შეცვლიდით მასში?**

- ინტერიერს შევცვლიდი და უფრო კომფორტულს და მრავალფეროვანს გავხდიდი;
- განათებას დავამატებდი;
- გავაფართოვებდი და უფრო მეტ დივანს და სკამებს დავდგამდი;
- მსგავსი სივრცის შექმნა უნივერსიტეტის ეზოში.

კითხვაზე – **მიმართეთ თუ არა კომპეტენტურ პირს კონკრეტული სერვისის დასამატებლად ან გასაუმჯობესებლად?** დადებითი პასუხი გასცა 17%-მა, უარყოფითი – 66%, არ ვიცოდი, შეიძლებოდა თუ არა – 17%-მა.

როგორც ვხედავთ, სტუდენტებს აქვთ ახალი ხედვები, მაგრამ ინიციატივას რატომღაც არ იჩენენ და ელოდებიან, როდის შეიცვლება რაიმე.

მესამე ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ **მარიამ კვინცხაძე, გვანცა გაჩეჩილაძე, მარიამ ხუციშვილი** და **ზოია ოთანაძე.** მათ გამოკითხეს სტუდენტთა თვითმმართველობის წევრები. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათ აქვთ სამოქმედო გეგმა და მუშაობენ ამ გეგმის მიხედვით. მათ მიერ ჩატარებული აქტივობები მოიცავს ძირითადად სპორტულ ღონისძიებებს, საქველმოქმედო ღონისძიებებს, სტუდენტებისთვის რეკრეაციულ აქტივობებს და სხვა, როგორიცაა:

**22 სექტემბერი,** საზეიმო წვეულება ახალციხის ცეხეზე სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით;

**4 ოქტომბერი,** აქციაში „გადაარჩინე სიცოცხლე“ ახალციხის რეფერალური საავადმყოფოს მხარდასაჭერად. ბევრმა სტუდენტმა გაიღო სისხლი სხვების გადასარჩენად.

**6 ოქტომბერი,** შიდასაუნივერსიტეტო ფაკულტეტთაშორისი შეჯიბრი ფეხბურთში;

**16 ნოემბერი,** შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და საინჟინრო, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების გუნდებს შორის.

მოეწყო ფილმის („ღია სეზონი“, „მადაგასკარის პინგვინები“ და „უილ ფერელის ელფი“) ჩვენება სტუდენტებისთვის, როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, თვითმმართველობაში I და II კურსელები უფრო აქტიურობენ. ალბათ, ამასაც აქვს მიზეზი, რადგან მაღალ კურსელებს სხვა ინტერესები აქვთ. ისიც აღსანიშნავია, რომ მათი ინტერესების სფერო წევრების შესაძლებლობებისა და სურვილების შესაბამისად, ერთგვარად ვიწროა და ყველა სტუდენტის სურვილს ვერ მოიცავს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის სტუდენტური თვითმმართველობის მთელი გუნდი აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ისინი მუდამ ახლის ძიებაში არიან და სხვადასხვა აქტივობით ცდილობენ სტუდენტური ცხოვრების გახალისებას. საჭიროა, ამ საქმიანობაში მეტი სტუდენტის ინიციატივიანი თანადგომა და იდეებიც უფრო საინტერესო გახდება.

მე-4 ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ **გვანცა ათენაშვილი, შუშანიკ ტონოიანი** და **თამარ დავლაშერიძე.** მათ ინტერვიუ აიღეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან, ბატონ **როინ თათეშვილისგან.**

კითხვაზე – **თქვენი აზრით, რას აკეთებს უნივერსიტეტი თავისი სტუდენტებისთვის?** ბატონმა როინმა უპასუხა: „თუ სკოლა შენი მეორე სახლია, მაშინ უნივერსიტეტი შენი მშობელია და რადგან მშობელს „შვილისათვის” კარგი უნდა, ყველაფერს აკეთებს, რომ „შვილმა” მიიღოს კარგი განათლება.

მან აღნიშნა, რომ უარით არასოდეს ისტუმრებს სტუდენტს, რომელიც დახმარებისთვის მიმართავს. მაგალითად, სიამოვნებით დავაფინანსეთ ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტთა წამოწყება „საგაზაფხულო სკოლა – 2023“, სხვადასხვა პროექტები, ექსკურსიები და ა.შ. ყოველთვის დავეხმარებით და დავაფინანსებთ სტუდენტებს ინოვაციური იდეების რეალიზაციისთვის.

კითხვაზე – **არის თუ არა რაიმე ახალი სერვისი სტუდენტებისთვის, რომელთა შეთავაზებას ახალი სემესტრიდან გეგმავთ?** მან უპასუხა, რომ სერვისებს გეგმავს არა ადმინისტრაცია, არამედ სტუდენტები. ისინი ახალი იდეებით მოგვმართავენ და ჩვენ ვეხმარებით მათ ამ იდეების რეალიზებაში.

ასე, რომ მეგობრებო, თუ გსურთ თქვენი იდეების განხორციელება, მიმართეთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ისინი აუცილებლად გაითვალისწინებენ თქვენს თხოვნას და შესაძლებლობის ფარგლებში, ეტაპობრივად გადაწყვეტენ თქვენს, ჩვენს მოთხოვნებს.

პროექტზე მუშაობის პროცესში უფრო მეტი გავიგეთ სტუდენტური სერვისების შესახებ, უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს, ვისწავლეთ გუნდური მუშაობა, სხვისი აზრის პატივისცემა, მოსმენა და რაც მთავარია, ავიმაღლეთ ცოდნა. წარმატებებს გისურვებთ ყველა სტუდენტს.

*ნანა ჭეიშვილი*
*ინგლისური ფილოლოგიის*
*მე-3 კურსის სტუდენტი*

# ყველაფერი საუკეთესო იწყება ახლა

**წარმოგიდგენთ მშობლიურ მხარეზე, განათლებასა და წარმატებაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ახალგაზრდებს. ისინი ცხოვრების ახალ, გამოწვევებით აღსავსე უმნიშვნელოვანეს ეტაპს იწყებენ და ამ საინტერესო ბრძოლაში საიმედო მხარდამჭერად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეგულებათ.**

– მე გახლავართ **ანანო გუბელაძე,** ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე. მსურს, გაგაცნოთ საკუთარი თავი. უპირველეს ყოვლისა, ვარ განათლებაზე ორიენტირებული ახალგაზრდა, მიზიდავს საინტერესო გამოწვევები, ვარ ექსტროვერტი, სოციალურ გარემოში თავს კომფორტულად და ენერგიულად ვგრძნობ. ბავშვობიდან მიყვარდა ჩემი მიზნებისათვის ბრძოლა, რამაც განაპირობა მიზანდასახული და მებრძოლი თვისებების ჩამოყალიბება. ჩემი მეგობრებისა და ახლო წრის დახასიათებითაც, პოზიტიური, შრომისმოყვარე და მობილიზებული ადამიანი ვარ.

სკოლაში პროდუქტიული წლები გავატარე. პატარა ასაკიდან ვასპარეზობდი სხვადასხვა სასკოლო თუ არასასკოლო შეჯიბრებში. არაფორმალური განათლება მივიღე კლუბ „ამბივერტში", რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეთა ცოდნის გაუმჯობესებასა და პიროვნულ განვითარებაზე. ჩემთვის აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შრომა დამიფასდა და სასახელო მოსწავლის სტატუსი მომენიჭა. ამისთვის გადმომეცა სახელმწიფო ჯილდო – კომპიუტერი, ასევე ვარ ოქროს მედლის კანდიდატი.

რაც შეეხება ჩემს მომავალ პროფესიას, გადავწყვიტე ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობას დავეუფლო, რადგან უცხო ენები და უცხო ქვეყნები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ჩემში. რა თქმა უნდა, არჩევანს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტზე ვაკეთებ. ეს გარემო ჩემთვის ნაცნობი, მშობლიური და სხვანაირად თბილია. ასევე, ამ უმაღლესი სასწავლებლის წვლილი რეგიონის ახალგაზრდების განვითარებაში შეუფასებელია, რაც კიდევ უფრო დიდ სურვილს მიჩენს, პროფესიონალი და მეტად მოსიყვარულე გუნდის წევრი გავხდე. ვეცდები, რომ ჩემი არჩეული პროფესია მშობლიურ უნივერსიტეტში სიღრმისეულად შევისწავლო, რათა შემდგომში ვიყო ღირსეული, პროფესიონალი და წარმატებული პედაგოგი.

ვფიქრობ, სტუდენტობა ჩემთვის საინტერესო ცხოვრების ეტაპია და, შესაბამისად, სწავლის პროცესიც საინტერესო და ნაყოფიერი იქნება. შევიძენ მეგობრებს, რომლებთანაც საერთო ინტერესები, სფერო და ჰობი დამაკავშირებს. დანამდვილებით ვიცი, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქსიმალურად დამეხმარება წარმატებისაკენ სწრაფვაში, მომცემს სწორ მიმართულებას, საჭირო განათლებას და საკუთარ თავს უკეთ შემაცნობინებს. დარწმუნებული ვარ, მშობლიურ უნივერსიტეტში პიროვნული პროგრესი და ცოდნის გამდიდრება მელოდება. მინდა ვიყო აქტიური და ჩემი დასახული მიზნები ავისრულო.

– ვარ **მარიამ ცინცაძე,** სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე. ვფიქრობ, სკოლაში გატარებული წლები დიდ როლს თამაშობს ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში. მაქსიმალურად ვიყენებ ყველა შესაძლებლობას, სისტემატურად ვმონაწილეობ სხვადასხვა აქტივობაში. ჩემთვის სასიამოვნოა მეგობრებთან ერთად დროის გატარება, სხვადასხვა საინტერესო თემაზე საუბარი. მიყვარს მუსიკის მოსმენა და ფილმების ყურება. ხშირად ვკითხულობ წიგნებს. განსაკუთრებით მიზიდავს ისტორიული და სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებები. მას შემდეგ, რაც დავიწყე ფიქრი თუ რა მიმართულებით მსურდა სწავლის გაგრძელება, ან რომელ უნივერსიტეტში მივიღებდი უმაღლეს განათლებას, არჩევანი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გავაკეთე. ყურადღება განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შევაჩერე. ავირჩიე ქართული ფილოლოგიის სპეციალობა, რადგან ეს ჩემი საოცნებო პროფესიაა და სწორედ ამ სფეროში ვხედავ საკუთარ თავს მომავალში.

ვფიქრობ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა დამეხმარება კარიერულ წინსვლასა და პიროვნულ ზრდაში. მიმაჩნია, რომ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის დახმარებით მივიღებ სათანადო განათლებას. ბევრი მსმენია უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებსა და წარმატებებზეც. ცხოვრების ის ეტაპი, რომელსაც სტუდენტობა ჰქვია, არის ყველაფრისგან გამორჩეული. ცხოვრების მიზნის მისაღწევად ვდგამ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს – მე ვირჩევ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

– მე ვარ **ელენე ხუციშვილი** ახალციხიდან, მე-12 კლასის მოსწავლე. წელს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების წინაშე დავდექი, ბევრს ვფიქრობდი, რომელ უმაღლეს დაწესებულებაში გავაგრძელებდი სწავლას. არჩევანი სამცხე – ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გავაკეთე. მეგობრებისგან ვიცი, რომ აქ არის სწავლების მაღალი დონე. ამიტომ, საქართველოში საუკეთესო უნივერსიტეტად მესახება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბოლომდე ვენდობი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

მინდა გითხრათ, რომ ადამიანში ყველაზე მეტად განათლებას ვაფასებ. შეყვარებული ვარ წიგნზე. კითხვისას, სხვადასხვა ნაწარმოებში, ხშირად ვპოულობ საკუთარ თავს. ამასთან, ჩემი ინტერესის სფერო ხელოვნება და ისტორიაა. ვფიქრობ, პროფესიად ისტორიის სპეციალობა ავირჩიო. დედა ისტორიკოსია. ის თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია და ბოლომდე იბრძვის წარმატებისთვის. მთელი ჩემი ბავშვობა და გააზრებული ცხოვრება ვუყურებდი, როგორ უყვარდა დედას თავისი პროფესია, ასევე, ვამჩნევდი, როგორ უყვარდა დედა ხალხს... ვუცქერდი მის წინსვლას და მიღწეული შედეგით ტკბობას. ამიტომაც გადავწყვიტე, ღირსეული დედის ღირსეული შვილი ვიყო.

როგორი წარმომიდგენია სტუდენტობა? ძალიან საინტერესო, სახალისო და მრავლისმომცველი. ცხოვრების ეს ეტაპი მეტ-ნაკლებად განაპირობებს ადამიანის მომავალს და, რაც მთავარია, განათლების მიღებას. ასე, რომ იმედი მაქვს, ჩემი სტუდენტობაც იქნება ისეთივე მოგონებებით აღსავსე, როგორზეც სხვები მიამბობენ. სტუდენტობა ჩემთვის ასოცირდება დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, განათლებასთან, ახალ მეგობრებთან, გამოწვევებთან და პასუხისმგებლობასთან. მე ვირჩევ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს!

# „გაზაფხული შემოსულა, ლენ..."

## (ჩანახატი)

**ნარნარა** სიო ცეკვავდა კლდეთა ქონგურებზე, ნელა დუდუნებდა ფერადი ყვავილები. ბუნება მშვენიერი ფერებით აღვსილიყო. კვირტებდაბერილ ხეთა ჯარი მშვიდად გალობდა ნატიფ მელოდიას. სამყარო ლაღი და მშვენიერი გამხდარიყო. ვერვინ ბედავდა ეფიქრა „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო", უკვე რა ხანია ყველას არსებაში ახმიანებულიყო იგი.

მარტმა გული გაუხსნა, აპრილმა ყლორტები გადააჭდო, ნაზმა მაისმა ჩაიხუტა, ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა... რომანტიკის ჩუმი ბანგით დამთვრალიყო არემარე. ყველაზე ლამაზი რამ გამეფებულიყო ირგვლივ, ერთიანად ხარობდა ფლორაცა და ფაუნაც. მშვიდი, აღმატებულად დიდსულოვანი სეზონი მწველ ზაფხულსა და გამყინავ ზამთარს შორის დაბადებულიყო, სიყვარულისთვის დაეგდო ყური.

გაზაფხული რაღაცით შემოდგომას ჰგავდა, მაგრამ მასზე მხიარული, მომთმენი, მშვიდი და ფერადი იყო. პიროვნებად ქცეული, ეულად დაეხეტებოდა და თავისსავე კვალს ტოვებდა ადამიანებში, ერთი შეხედვით, ყველას მიეცა უფლება მისთვის, მათი სულის სიმებს შეხებოდა, შეერხია, ჩუმი საიდუმლო გაემხილა, ენავარდა...

შხაპუნა წვიმა ზანტად ხტოდა, ქუჩებს ასველებდა, ახალ ამბავს შემხვედრთ უყვებოდა... თავგამოდებით ცდილობდა, არვინ დარჩენოდა და ყველასთვის ეხარებინა... მშვენიერება იყო, თუ შეიძლება საერთოდ ამ სიტყვამ დაიტიოს ყოველივე ის, რაც ირგვლივ ფეთქავდა.

არის მომენტები, მოვლენები და გრძნობები, რომელსაც ადამიანი ვერასგზით გადმოსცემს, ახსნის და აღწერს. გაზაფხულის დუდუნიც სწორედ ამ მოვლენათა რიგებში ჩამდგარიყო მორჩილად, ჩუმად... წმინდა სამეცნიერო ტერმინოლოგიისგან დაცლილიყო მისი არსებობა, სიტყვები გამქრალიყო, სხივები გამკრთალიყო... მთელი მისტიკა მის სახესხვაობაში განფენილ –დადუმებული ფეთქავდა, საოცრად წმინდა და სუფთა იყო... ახალი იდეები იყრიდა თავს...

მე თუ მკითხავთ, რა არის გაზაფხული, გამიჭირდება პასუხის გაცემა. შემოდგომა სულის სეზონია, მას სული, განსაკუთრებით რომანტიკოსთა სული გრძნობს, ხოლო გაზაფხული? მას ვინ გრძნობს?! მას, ალბათ, შეყვარებული ადამიანები გრძნობენ... გაზაფხულს ის გრძნობს, ვისაც უყვარს და ვინც საპასუხოდ არ უყვართ, ალბათ... მისით ტკბობა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც სწამს, რომ სიყვარულის სეზონის მოყვანა არათუ ერთ მერცხალს, ერთ შეყვარებულსაც კი შეუძლია... ის რომანტიკის, გრძნობისა და სიყვარულის სეზონია... მრავალი წლისა თუ საუკუნის წინ გამოუსყიდიათ მიჯნურთ იგი თვეთა მჭიდრო ბორკილებიდან და სულის ხსნა უთხოვიათ... ფრიად მოწყალემ თხოვნა ისმინა და შეუსრულა კიდეც. მხოლოდ ერთია, ვერ კი უღალატა უღელად დადებულ, ვალადქცეულ პასუხისმგებლობას და კვლავ თებერვალსა და ივლისს შორის დაიდო ბინა... ენძელასა და იას არგუნა პატივი ეთქვათ, სიყვარულის ზეიმი იწყებაო... მაისის ნელი ვალსით კი ზეიმის დასასრულს ამცნობს ყველას. იქნებდა, თქვენს სიყვარულს სულაც არ ჰქონდეს ბოლო, მაგრამ მე დავამთავრე, მე ჩემი წილი ცხოვრება გავლიე და დავამთავრე, თქვენ კი განაგრძეთო...

ასეთია ის... ასეთია, ჩუმი და თან ყველაზე ხმაურიანი, ახალი იმედებისა და ოცნებების მშობელი გაზაფხული... მეტად მოწყალე, შემწყნარებელი, ერთიანი, დახვეწილი, ნაზი და თან სევდიანი... სეზონი, რომელიც ყველა შეყვარებულ, მგრძნობიარე, მეოცნებე და იმედიან არსებას ერთ ენაზე ესაუბრება, უყვავებს, უსმენს, უთანაგრძნობს, ამხნევებს და იმედს, სიცოცხლის გაგრძელების სტიმულს აძლევს...

მერცხლის გამაყრუებელი ჭიკჭიკი ისმოდა ირგვლივ. მცენარეთა ფერადი ყვავილები მზის სხივებთან შესახვედრად ემზადებოდნენ. პატარა კუდმაკრატელა ფრინველი დაუღალავად ეცეკვებოდა თეთრ ღრუბლებს. აღარავის ეპარებოდა ეჭვი, გაზაფხული მოსულიყო, ერთ მერცხალს მოეყვანა იგი... სიყვარულის სეზონი გამეფებულიყო ნარნარა სამყაროში... ბუნება ხმიანობდა, ჩიტები ჟღურტულებდნენ...

...„გაზაფხული! გაზაფხული!"
თვალს იმედი დამესახა.
მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა!
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!"...
(აკაკი წერეთელი)

*ნატალია ვარდიძე*
*ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის*
*მე-4 კურსის სტუდენტი*

# „მუსიკალური ნოტი რომ ვიყო, ვიქნებოდი „სი“ ბემოლი“

## ქართული ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტის თეკლა კუბლაშვილის ბლიც-ინტერვიუ

**– თეკლა, მადლობა, ინტერვიუზე რომ დამთანხმდი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მეტად საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის შენი ამ კუთხით დანახვა და ხილვა. ცალსახაა, ძალიან საინტერესო და გამორჩეული სტუდენტი ხარ.**

– პირიქით, თქვენ, ყველას, მადლობა, ჩემით რომ დაინტერესდით. ჩემთვის, მართლა, დიდი პატივია, წარმოუდგენელიც კი.

**– მაშ ასე, დავიწყოთ. მუსიკალური ნოტი რომ ვიყო, ვიქნებოდი...**

– მუსიკალური ნოტი რომ ვიყო, „სი“ ბემოლი ვიქნებოდი; თითქოს ის ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადი საფეხურები არის ვთქვათ – „რე, ფა, რე“, ან „დო, მი, სოლ, დო“ და ასე შემდეგ, „სი“ ბემოლი კი მათგან ცოტა უფრო შორს დგას, მაგრამ როდესაც საჭიროება მოითხოვს, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

**– როდესაც ვგალობ, ვგრძნობ...**

– როდესაც ვგალობ, ძალიან ბევრ რამეს ვგრძნობ – სიყვარულს, სინანულს, სევდას, მომავლის იმედს, შიშებს, ყველაფერს, საერთოდ ყველაფერს...

**– ფერი, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ჩემს შინაგან სამყაროს, არის...**

– ფირუზისფერი, მომწვანო-მოლურჯო, „ჰარმონიული ქაოსის ფერია“.

**– საკუთარ თავს მუდამ ვახსენებ...**

– რომ რეალურად არავინ ვარ...

**– კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად მიტრიალებს გონებაში არის...**

– კიდევ რამდენი შეცდომა უნდა დავუშვა, რომ ვისწავლო.

**– სიტყვა, რომელსაც ყველაზე დიდი მისტიკა აქვს...**

– მისტიკა... ხომ, აი ეს ჩემი საყვარელი ამბავია. პირველი ლექცია რომ გვქონდა, პირველ კურსზე. ქალბატონი მაკა გვასწავლიდა, ენათმეცნიერების საგანი იყო და ერთი ფრაზა მომხვდა რაღაცნაირად „გემრიელად“ ყურში. „გენაცვალე, შემოგევლე და გარდაცვალება“ ის სამი სიტყვაა, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაშია და სხვაგან ანალოგი არ აქვს, სამყაროში, ქართულის გარდა, მათ ვერსად ნახავთ, ისინი ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანია... რაღაც მხრივ მისტიკურიც არის, მათ თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. გარდაცვალება ხომ სხვაგან არსად არ ხდება; ამ სამყაროში მოდიხარ, იმ სამყაროში კი მუდმივად ცოცხლობ. „შემოგევლე და გენაცვალე“ ხომ საერთოდ... საკუთარ სულსა და გულს დებ სხვა ადამიანის მაგივრად, რომ ის კარგად იყოს და შენ ცუდად, ამიტომ ამ სამ სიტყვას რაღაც განსაკუთრებული ძალა აქვს.

**– რომანტისტი პოეტებიდან, გამოვარჩევდი...**

– რა თქმა უნდა, ბარათაშვილს. ბარათაშვილი ყველანაირად უკონკურენტოა.

**– წერის ინსპირაციას მაძლევს...**

– წერის ინსპირაციას მაძლევს... ვაჟა, დოსტოევსკი და ჰერმან ჰესე.

**– ქართულ სულს ვგრძნობ, როდესაც...**

– ძალიან მარტივი კითხვაა, რა თქმა უნდა, ქართულ სულს ვგრძნობ, როდესაც ვაჟას ვკითხულობ...

**– ვაჟასთან შეხვედრა რომ შემეძლოს, ვეტყოდი...**

– ვერაფერს ვერ ვეტყოდი, უბრალოდ ვიდგებოდი და მოვუსმენდი. მადლობას გადავუხდიდი იმისთვის, რაც დატოვა. და ვკითხავდი – რატომ დაწერა „იას უთხარი ტურფასა“... ვაჟა სიმბოლისტი, ძალიან თავისუფალი ბუნების ადამიანი იყო, ტყის შვილი, ეს ნაწარმოები კი რომანტიზმის გამოვლინება უფროა და ასეთი სევდიანი და მელანქოლიის მომგვრელი ლექსი რატომ შექმნა, რაღაც მხრივ, ძალიან საინტერესოა.

**– საკუთარი თავით ვამაყობ, რომ...**

– აარა, არა... ძალიან ცუდი კითხვაა. საკუთარი თავით საერთოდ არ ვამაყობ, იმის ნახევარზე ნაკლებს ვაკეთებ, რაც ადამიანს შეუძლია, ის არა, რომ მე შემიძლია... საშუალო ადამიანის ცხოვრებით ვცხოვრობ და განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ. შესაბამისად, საამაყოც არაფერი მაქვს. შეიძლება ოჯახი მქონდეს საამაყო, მაგრამ რამეს მე თვითონ რომ ვაკეთებდე და ეს მეამაყებოდეს, ასეთი რამ არ მაქვს.

**– აუცილებლად მინდა, რომ შევძლო...**

– აუცილებლად მინდა, რომ შევძლო ბევრი რამ... მინდა იმის ნახევარი მაინც გავაკეთო, რაც ადამიანს შეუძლია და რაც ჩაფიქრებული მაქვს, მინდა, რომ შევძლო. მთავარია, ღმერთმა შემაძლებინოს, სურვილი

მქონდეს და დანარჩენი, ალბათ, გამოვა.

**– იმოგზაურებდი წარსულში თუ იმოგზაურებდი მომავალში?**

– ორივე საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ წარსული სავარაუდოდ თავის თავში დამტოვებდა, მომავალი კი შემაშინებდა, ამიტომ მირჩევნია, რომ აწმყოში ვიყო.

**– თანამედროვე სამყაროს ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია...**

– აი, ცუდის თქმა არ მინდა... თანამედროვე სამყაროს დამახასიათებელი ნიშანი არის, ალბათ, ინდივიდუალიზმი. აბსოლუტურად ყველა ადამიანს სურვილი და მოთხოვნილება აქვს უნიკალურობის, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ მაინც ვგავართ ერთმანეთს რაღაც ასპექტებში; ყველას მოთხოვნილება აქვს, რომ განსხვავებული იყოს სხვებისგან და ეგ ერთიანობას ხელს უშლის, თუ სწორად არ იქნა წარმართული. სიტყვაზე, თუ სწორად მოვიყვანთ ერთიანობაში ამ განსხვავებულობას, ყველაფერი გამოვა იდეალურად, მაგრამ ყველას საკუთარი გზის არჩევა უნდა და ერთიანი ოჯახურობის სურვილი აღარ უნდათ.

**– ერთი თვისება, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონს გერმანელ ხალხში, არის...**

– ძალიან ბანალური პასუხი იქნება, ალბათ, მაგრამ მაინც, მათი მოწესრიგებულობა, რაღაც საზღვრამდე. ისინი გადამეტებულად მოწესრიგებულები არიან და ეგეც არ ვარგა. მაგ დროს უკვე საკუთარ თავს კარგავ და მთლიანად სამსახურში ხარ. მაშინ, რისთვის ცხოვრობ? სამსახურისთვის კი არ უნდა იცხოვრო, სამსახური უნდა იყოს შენი ცხოვრებისთვის, ასეა.

**– ყველაზე შაბლონური ფრაზა არის...**

– ფრაზა არა, მაგრამ წინადადებებია, თან ძალიან ბევრი, აი მაგალითად – „ძალიან დიდ მადლობას გიხდით მოხალისეობრივი საქმიანობისთვის, მე ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე“. ყოველთვის ტყუილია, ყოველთვის იმიტომ რომ, როცა გამოცდილებას იღებ და მადლობის გადახდა გინდა, ასე მარტივად ვერ „გამოძვრები“. მარტო თვალებითაც მარტივად მიხვდება ადამიანი, მართლა მადლიერი ხარ და მიიღე რამე თუ არა. ამიტომ ეს ფრაზა ძალიან შაბლონური მგონია.

**– კითხვა, რომელსაც დავუტოვებდი მომავალ თაობას საფიქრელად, არის...**

– მგონი მაგ კითხვას ვერ დავუტოვებდი, მაგრამ... ძალიან, ძალიან რთული კითხვაა სხვათაშორის... ალბათ, ვკითხავდი – რატომ შეწყვიტა ადამიანმა ღმერთის ძიება, საკუთარ თავშიც და სამყაროშიც. ახლა მართლა შევწყვიტეთ ძიება, რატომღაც და მაგ კითხვას რომ დავუსვამ, მერე უკვე დაფიქრდებიან, იქნებ არ შევწყვიტოთო და რაღაც ჭეშმარიტებამდეც მივლენ.

**– რწმენა ჩემთვის არის...**

– ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი.

**– თეკლა... ემოციებით ვარ სავსე და მჯერა, ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ არანაკლებ მნიშვნელოვანი განცდები დაეუფლება მკითხველს. უღრმესი მადლობა გულწრფელობისა და შენს სამყაროში ჩვენი „შემოშვებისთვის“... უამრავ წარმატებას გისურვებ. ვინც გიცნობთ, ვამაყობთ შენით!**

*ინტერვიუერი*
*ნატალია ვარდიძე*
*ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი*

*რედაქტორი*
მარინე ზედელაშვილი
*რედკოლეგია:*
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, თამარ კორტი, იური ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, ვარსენიკ ვართანიანი, თენგიზ მელიქიძე

*მისამართი*
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
*ტელ.:* (+995) 22 890 400 191
*ტელ.:* 599 25 25 68
*ვებ-გვერდი:* www.sjuni.edu.ge